

ნოდარ გულბიანი

რელიგია და სულიერი კულტურის  
სხვა ფორმები

თბილისი

2012

წარმოდგენილი ნაშრომი დაწერილია რელიგიის ისტორიისა და თეორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემის: რელიგიისა და სულიერი კულტურის სხვა ფორმების ურთიერთმიმართების საკითხის ანალიზის შესახებ.

წიგნში განხილულია რელიგიის, როგორც სულიერი კულტურის განსაკუთრებული ფორმის დამოკიდებულება სულიერი კულტურის სხვა ფორმებთან. ეს პრობლემა განსაკუთრებით საინტერესოა იმით, რომ იგი ეხება მართლაც აქტუალურ საკითხს, თუ რამდენად განაპირობებს სულიერი კულტურის ესა თუ ის ფორმა რელიგიური რწმენის ამაღლებასა და მის განმტკიცებას. ან, თუ რამდენად უწყობს ხელს თვით რელიგიური რწმენა სულიერი კულტურის ამ ფორმების განვითარებას და მათი საკაცობრიო კულტურული ფუნქციის შესრულების დონის ამაღლებას.

რედაქტორი: თემურ ფანჯიკიძე - ფილოსოფიის მეცნიერებათა

დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები: რაგიმ ანდრიაშვილი - ფილოსოფიის მეცნიერებათა

დოქტორი, პროფესორი

თამაზ ნუცუბიძე - ფილოსოფიის დოქტორი,

პროფესორი

ტექნიკური რედაქტორი: მარინე ქარსელაძე

ISBN 078-9941-0-5019-0

©NodarGulbiani.2012

## შესავალი

რელიგიის, როგორც სულიერი კულტურის განსაკუთრებული ფორმის, სულიერი კულტურის სხვა ფორმებთან დამოკიდებულების საკითხის ანალიზის დროს უნდა ამოვიდეთ იმ ფაქტიდან, რომ, როგორც რელიგია, ისე სულიერი კულტურის ნებისმიერი სხვა ფორმა, მხოლოდ და მხოლოდ ადამიანისთვის დამახასიათებელი ფენომენია, რამდენადაც მხოლოდ ადამიანია დღემდე ცნობილი ყველა ცოცხალ არსებათა შორის ბიოსოციალური არსება, რომელსაც გარდა ბიოლოგიური მოთხოვნილებებისა გააჩნია სულიერი მოთხოვნილებებიც. ამასთან, ამ მოთხოვნილებებს შორის არსებობს განსაკუთრებული მჭიდრო კავშირი, რაც მათ ურთიერთზემოქმედებაში გამოიხატება. ეს მოთხოვნილებანი ადამიანთა განვითარების პროცესში ერთმანეთთან მიმართებაში ქმნიან საზოგადოებრივი პროგრესის ერთიან სახეს, როგორც პიროვნებისა კონკრეტულად, ისე საზოგადოების ზოგადად. სწორედ ამ პროგრესის უწყვეტი ჯაჭვია კაცობრიობის ისტორია, სადაც განვითარება მიემართება დაბლიდან მაღლისკენ და სადაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სულიერი კულტურის თითოეული ფორმა: რელიგია, ფილოსოფია, მეცნიერება, ხელოვნება, ზნეობა, კულტურა, პოლიტიკა, სამართალი და ა.შ.

აღნიშნულიდან გამომდინარე საინტერესოა, თუ რა ადგილი უკავია რელიგიას, როგორც სულიერი კულტურის განსაკუთრებულ ფორმას, საერთოდ საზოგადოებრივ პროგრესში და რა მიმართებაშია იგი სულიერი კულტურის ჩამოთვლილ ფორმებთან? ამ კითხვაზე პასუხი საზოგადოების განვითარების

სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს, იმის მიხედვით, თუ როგორია ადამიანის ზოგადმსოფლმხედველობრივი მრწამსი და მისი დამოკიდებულება სინამდვილისადმი.

საზოგადოების სულიერი კულტურა ვითარდება და ყალიბდება იმის მიხედვით, თუ როგორ ხდება საზოგადოებრივი პროგრესი, როგორ ვითარდება საერთოდ საზოგადოება და როგორ იცვლის იგი ფორმას და შინაარსს ამა თუ იმ ეპოქაში, რაც აუცილებლად ვლინდება საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფარმაციათა ცვლილებაში. რელიგია კი, როგორც საზოგადოებრივი ინტერესების გამომხატველი ყოველთვის უწყობდა ხელს მოწინავე საზოგადოებრივი წყობის დამკვიდრებას, მაგრამ ეს არ ითქმის ზოგადად ყველა რელიგიაზე. იგი ეხება კონკრეტულად ამა თუ იმ რელიგიურ ფორმას. ამ მხრივ აღსანიშნავია მონოთეისტური რელიგიის ჩამოყალიბების დადებითი როლი კაცობრიობის პროგრესში.

თანამედროვე მსოფლიო მონოთეისტური რელიგიები ყალიბდებოდა ძველი ტომობრივი რელიგიების წინააღმდეგ ბრძოლაში და მიზნად ისახავდნენ ამა თუ იმ ხალხების გაერთიანებას, ერთიანი სახელმწიფოს შექმნასა და მისთვის მისაღები სახელმწიფოებრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებას, რომელსაც ექნებოდა შესაბამისი ზნეობრივი, სამართლებრივი და პოლიტიკური შეხედულებები.

ჩვენს მიზანს კი წარმოადგენს განვიხილოთ რელიგია სწორედ ამ შეხედულებებთან მიმართებაში და ვაჩვენოთ მისი როლი საკაცობრიო პროგრესში, როგორც სულიერი კულტურის განსაკუთრებული ფორმის. ამასთან, ვაჩვენოთ, რომ სულიერი კულტურის ეს ფორმა გამორჩეული და აღმატებულია იმდენად, რამდენადაც იგი განფენილია ცხოვრების ყველა სფეროში და შესაბამისად, არ არსებობს სულიერი კულტურა რელიგიური საფუძვლების, რელიგიასთან გარკვეული მიმართების გარეშე.

## 1. რელიგია, მეცნიერება, ფილოსოფია

რელიგიის, მეცნიერებისა და ფილოსოფიის, როგორც სულიერი კულტურის განსაკუთრებული ფორმების დახასიათებისა და მათი ურთიერთმიმართების ანალიზის დროს აუცილებელი ანგარიშ გასაწევია ის ფაქტი, რომ სულიერი კულტურის ყველა ამ ფორმათა ამოსავალი პრინციპი ერთი და იგივეა. მათი არსება და ურთიერთზემოქმედება განსაზღვრულია საზოგადოებრივ ურთიერთობაში მათი მჭიდრო კავშირით, როგორც ერთმანეთთან, ისე სხვადასხვა საზოგადოებრივ მოვლენებთან.

მეცნიერება, როგორც სულიერი კულტურის ერთ-ერთი ფორმა ყოველთვის იყო და არის ადამიანის მიზნების მიღწევის საშუალება. ამასთან, რამდენადაც ადამიანის, როგორც მიზნები, ისე მათი მიღწევის საშუალებანი წარმოადგენს კულტურის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს, მეცნიერებაც კულტურის ერთ-ერთი განსაკუთრებული ფორმაა. მეცნიერება რეალური სინამდვილის ობიექტურ-გონებრივ სურათს წარმოადგენს. იგი გარკვეული მიზნის მიღწევის საშუალებაა და ეს მიზანი არის ადამიანის ცხოვრება. აქედან გამომდინარე აუცილებელია ადამიანის ცხოვრების, მის გარემომცველ სინამდვილესთან ერთად მთლიანობაში გააზრება, რომელიც ფილოსოფიის საგნად წარმოგვიდგება. აქედან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია მეცნიერებისა და ფილოსოფიის, როგორც ადამიანის სულიერი კულტურის განსაკუთრებული ფორმების ერთიანობაში განხილვა, ისე ორივე მათგანის ერთად რელიგიისადმი დამოკიდებულების პრობლემის ანალიზი.

ფილოსოფიის რაობის შესახებ კაცობრიობის ისტორიის მანძილზე უამრავი სხვადასხვა აზრი ჩამოყალიბდა, მაგრამ საბოლოოდ მის მთავარ პრობლემად გამოიკვეთა სამყაროს რაობის საკითხი და ამ სამყაროში თვით ადამიანის ადგილისა და როლის პრობლემა. ამ პრობლემის გადაჭრის შესახებ შექმნილ აზრთა სხვადასხვაობის სისტემას ონტოლოგიას უწოდებენ. ონტოლოგიის ანუ „პირველი ფილოსოფიის“, როგორც ამას გერმანელმა ფილოსოფოსმა კრისტიან ვოლფმა უწოდა და თეოლოგიის, როგორც ღვთაებაზე მოძღვრების ურთიერთმიმართების გასარკვევად აუცილებელია მათი საგნების გამოკვლევა და ურთიერთშედარება.

ონტოლოგიის საგნის პირველი განსაზღვრება არისტოტელეს ეკუთვნის. თუმცა, მას ტერმინი „ონტოლოგია“ არ ჰქონდა. ეს ტერმინი პირველად იხმარა რ. გოკლენიუსმა 1613 წელს. დიდი ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე წერს: „არის ისეთი მეცნიერება, რომელიც განიხილავს არსებულს, როგორც ასეთს და იმას, რაც მას თავისთავად აქვს. იგი არ არის არცერთი კერძო მეცნიერების იგივეობრივი. არცერთი სხვა მეცნიერება არ იკვლევს არსებულის, როგორც ასეთის ზოგად ბუნებას, არამედ ყველა ისინი მისი (არსებულის) რაიმე ნაწილს გამოჰყოფენ და შემდეგ ამ ნაწილის მიმართ განიხილავენ იმას, რაც მისი კუთვნილი აღმოჩნდება“.<sup>1</sup> ამ სტრიქონების ავტორს, მართალია არ ჰქონდა ტერმინი „ონტოლოგია“, მაგრამ ცხადია, რომ კარგად ესმოდა „ონტოლოგიის“ ცნების შინაარსი, რის საფუძველსაც იძლევა ის ფაქტი, რომ პირველი ონტოლოგიური კონცეფციები ჯერ კიდევ მილეთის სკოლაში (თალესი, ანაქსიმანდრე, ანაქსიმენი) შეიქმნა.

არისტოტელეს აზრით ონტოლოგიის საგანია „არსებული, როგორც ასეთი“, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი ონტოლოგიური მოძღვრების საგანი არის „არსი“, რომელიც

„არსებობას“ ნიშნავს. იგი მიეწერება ყველაფერს, რაც არსებობს, არა მხოლოდ ბუნებასა და საზოგადოებაში, არამედ საერთოდ ადამიანთა სულიერ ცხოვრებაში. მას არავითარი განსაზღვრულობა არ მიეწერება, ვინაიდან თვითონ არის ყოველგვარი განსაზღვრულობის, ყოველგვარი არსებობის ძირი და საფუძველი. ამ გარემოებასთან დაკავშირებით ჰეგელი ამბობდა, რომ „არსი“ არის უპირველესი, რის გამოც მას არავითარი განსაზღვრულობა არ აქვს, რაც იმის მაჩვენებელიცაა, რომ არსი, როგორც ასეთი, არც მატერიალურია და არც იდეალური, იგი ორივე მათგანზე მაღლა დგას და სრულ გაურკვევლობას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, ამგვარად გაგებული არსი, როგორც ჰეგელმა მიუთითა, არის „არარსი“, ანუ „არსი“ გადადის „არარსში“. აქედან გამომდინარე აუცილებელია „ონტოლოგიის“ საგნის ცნების დაზუსტება, რადგან არსი ერთსა და იმავე დროს ყველაფერიცაა და არაფერიც. ონტოლოგიის საგანია არა არსი საერთოდ, რომელიც უაბსტრაქტულობის გამო ცარიელია, უმინაარსოა, არამედ არის უზოგადესი კანონზომიერება, ანუ არსის არსება, მთელი სინამდვილის არსება. არსი, უაბსტრაქტულობის მიუხედავად, სინამდვილის ზედაპირულ ფენას წარმოადგენს, არსის არსება კი უფრო ღრმა და შინაარსეულია. ონტოლოგიის საგანია არსება, როგორც არსის საფუძველი. ამასთან დაკავშირებით მართალი იყო ჰეგელი, როცა ამტკიცებდა, რომ ონტოლოგია არის „მოდღვრება არსების აბსტრაქტული განსაზღვრულობების შესახებ“.<sup>2</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ არც ჰეგელისეული ეს განსაზღვრებაა საბოლოო და დამაკმაყოფილებელი, რადგან არსებითობის (აბსტრაქტულობის) განსაზღვრულობის მიხედვით ონტოლოგიისა და სპეციალური (კონკრეტული) მეცნიერებების განსხვავება შეუძლებელია. ყველა მეცნიერება ამა თუ იმ საგნის არსებას

სწავლობს, როგორც ფილოსოფიური, ისე არაფილოსოფიური. ამდენად, არსებული სიძნელიდან გამოსავალი ის არის, რომ არსებანი ერთმანეთისგან განვასხვავოთ ზოგადობის ხარისხის მიხედვით. ყველა არსება ზოგადია, მაგრამ არსებობს არსებათა ზოგადობის ხარისხები (დონეები). იმის მიხედვით, თუ ბუნების რომელ სფეროს მიეკუთვნება იგი, ორგანულს თუ არაორგანულს, ადვილი წარმოსადგენია, რომ ამ შედარების შემთხვევაში უფრო ზოგადია არაორგანული ბუნების არსება, ვიდრე ორგანულის. ასევე, უფრო ზოგადია ცოცხალ არსებათა რაოდენობა, ვიდრე ცხოველთა, ადამიანთა და ა.შ. ცალცალკე. ერთი სიტყვით, არსებობს არსებათა ზოგადობის დონეები ანუ ზოგადი და უზოგადესი არსება. მთელი სინამდვილის არსება უზოგადესი არსებაა, ანუ მას სუბსტანციურ არსებას ვუწოდებთ, რომლისგანაც უნდა განვასხვავოთ სინამდვილის ყველა დანარჩენი სპეციალური სფეროების არსება, რომელთაც განსხვავებით პირველისგან სპეციალური არსებანი შეიძლება ვუწოდოთ. შესაბამისად მათ სპეციალური მეცნიერებანი სწავლობს, ხოლო სუბსტანციური არსება, როგორც უზოგადესი არსება, ფილოსოფიის, კერძოდ „პირველი ფილოსოფიის“ ანუ ონტოლოგიის შესწავლის ობიექტია. ამრიგად, ონტოლოგიის საგანია არა არსება საერთოდ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სუბსტანციური არსება. ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ონტოლოგია არის მეცნიერება სუბსტანციის, როგორც არსის (მთელი სინამდვილის) უნივერსალური არსების შესახებ. ცხადია სუბსტანციური არსება, ანუ სუბსტანცია, როგორც უკანასკნელი ინსტანციის არსება უპირობოა, დამოუკიდებელი და თავისთავადი, ანუ აბსოლუტურია. სუბსტანცია მხოლოდ აბსოლუტური შეიძლება იყოს და პირიქით, აბსოლუტური მხოლოდ სუბსტანციური არსი შეიძლება იყოს. გამომდინარე აღნიშნულიდან, ონტოლოგიის საგანი საბოლოოდ შეიძლება ასე

ჩამოყალიბდეს: ონტოლოგია არის მოძღვრება აბსოლუტური არსის, ანუ სუბსტანციური არსების შესახებ.

სუბსტანციური არსების მიხედვით აუცილებელია ერთმანეთისგან განვასხვავოთ სხვადასხვა ტიპის ონტოლოგიური სისტემები: მეტაფიზიკური, რელიგიური და მეცნიერული. სამივე ამათ აერთიანებთ ერთი სახელწოდება - „ონტოლოგია“. განსხვავება კი მათ შორის, როგორც ცალკეული სპეციფიკის მატარებელი, მაშინ წარმოჩინდება, როცა საქმე შეეხება სუბსტანციური არსის წვდომის მეთოდებს. სახელდობრ იმას, თუ რა მეთოდებით ყალიბდება მოძღვრება სუბსტანციური არსების შესახებ.

განვიხილოთ მოკლედ, თუ რაში მდგომარეობს ამ ონტოლოგიურ მოძღვრებათა მსგავსება-განსხვავება, მათი სპეციფიკა. დავიწყოთ მეტაფიზიკური ონტოლოგიით.

საერთოდ, ფილოსოფიის ისტორიის მანძილზე, როგორც კლასიკურ, ისე თანამედროვე ფილოსოფიაში არსებობს „მეტაფიზიკის“ ცნების მრავალგვარი გაგება, რომელთაგანაც ძირითადი არის კანტისეული გაგება, რომელიც თვლიდა, რომ მეტაფიზიკა (საგანი თავისთავად) არის მოძღვრება პრინციპულად დაუკვირვებადი სინამდვილის შესახებ, ე.ი. იმის შესახებ, რაც ცნობიერების გარეთ და მისგან დამოუკიდებლად არსებობს. შესაბამისად კანტი მეტაფიზიკას მეცნიერებად არც თვლიდა.

მართალია, კანტი „მეტაფიზიკას“ საერთოდ არ უარყოფს, მაგრამ იგი მაინც უარყოფდა მხოლოდ „მეტაფიზიკას“, როგორც მეცნიერებას. სხვამხრივ იგი თვლიდა, რომ „მეტაფიზიკა“ არის აგრეთვე ადამიანური გონების მთელი კულტურის დასრულება.<sup>3</sup> მართალია, მეტაფიზიკის პრობლემის კანტისეული გადაწყვეტის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ მაინც მიგვაჩნია, რომ სამყაროს მეცნიერული სურათის კრიტერიუმი არის პრინციპული

დაკვირვებადობა. აღნიშნული იმას ნიშნავს, რომ ყველა მეცნიერული მსჯელობა, განსაკუთრებით ობიექტური სინამდვილის შესახებ, საბოლოოდ პრინციპული დაკვირვებებიდან ამოდის. მეცნიერება მხოლოდ და მხოლოდ პრინციპულ დაკვირვებას ემყარება. ის, რაც გრძნობადი ცდიდან არ გამომდინარეობს სამყაროს მეცნიერულ სურათად არ გამოდგება. სამყაროს მეცნიერული სურათის კრიტერიუმს მხოლოდ გრძნობადი დაკვირვება წარმოადგენს.

აღნიშნულიდან შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ ვინაიდან მეტაფიზიკა არის მოძღვრება პრინციპულად დაუკვირვებადი არსის შესახებ, ხოლო მეცნიერების საგანს მხოლოდ და მხოლოდ პრინციპულად დაკვირვებადი ობიექტები წარმოადგენს, ამიტომ მეტაფიზიკა მეცნიერება არ შეიძლება იყოს. მაგრამ აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ ჭეშმარიტება მხოლოდ მეცნიერების გასარკვევი იყოს, რომ იგი მარტოდენ მეცნიერული შემეცნების სფერო და მისი დასადგენი იყოს. თუ ადამიანის თეორიული ცნობიერების შინაარსს პირობითად მხოლოდ ორ ჯგუფად გავყოფთ - ცოდნად და რწმენად, - მაშინ მეტაფიზიკური ონტოლოგია უფრო რწმენის სფეროს კუთვნილება აღმოჩნდება, ვიდრე ცოდნის. სწორედ კანტის აზრით ასეთი იყო. ჩვენ შეიძლება გვწამდეს „ნივთი თავისთავადის“ არსებობა, მაგრამ მის შესახებ ცოდნა არ გვექნება, რადგან ამ ცოდნის მიღება შეუძლებელია თუ საგანი შეგრძნებებში არ მოგვეცა უშუალოდ და მასზე დაკვირვება არ მოვახდინეთ.

აქედან გამომდინარე ჩვენ შეიძლება იგივე ვთქვათ რელიგიური ონტოლოგიის შესახებაც. რელიგიური ონტოლოგია, მეტაფიზიკურის მსგავსად, არის მოძღვრება სუბსტანციური არსების, ანუ აბსოლუტური არსის შესახებ, რომლის ქვეშ ღვთაება იგულისხმება. ცხადია, ამ ტიპის ონტოლოგიაც დაფუძნებულია

რწმენაზე და არა ცოდნაზე. თუმცა, თუ იმ ჭეშმარიტებიდან ამოვალთ, რომ რელიგია არის უზენაესი ღვთაებრივი არსის არსებობის რწმენა და რელიგიურ ონტოლოგიას აქვს შემეცნებითი ღირებულება ადამიანის სულიერი ცხოვრებისათვის, მისი მნიშვნელობა უდიდესია.

რელიგიური და მეტაფიზიკურ-ონტოლოგიურ მოძღვრებებს შორის გარკვეული მსგავსება-განსხვავებაა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ორივე მათგანი ეკუთვნის რწმენის სფეროს და არა ცოდნის სფეროს. გასაგებია, რომ ცოდნა და რწმენა სხვადასხვაა. ამასთან, საყურადღებოა ისიც, რომ რელიგიურსა და მეტაფიზიკურ ონტოლოგიებს შორის განსხვავება ის არის, რომ აბსოლუტური არსების ყოველთვის არ ესმით როგორც ღვთაება. ფილოსოფიის ისტორიაში ცნობილია მატერიალისტური მეტაფიზიკური ონტოლოგიებიც (მაგალითად, დიალექტიკური მატერიალიზმი, რომელიც მატერიალური სუბსტანციის ცნებიდან ამოდის), ხოლო რელიგიურ ონტოლოგიაში კი აბსოლუტური არსი მხოლოდ და მხოლოდ ღმერთს აღნიშნავს. რაც შეეხება მეცნიერულ ონტოლოგიას, განხილული ონტოლოგიური სისტემებისაგან განსხვავებით, იგი წარმოადგენს ცოდნის სფეროს, შემეცნების შედეგს, რაც იმას ნიშნავს, რომ მეცნიერული ონტოლოგია რაღაც ახალს გვეუბნება თავისთავად არსებული არსის - სუბსტანციური არსების შესახებ. შემეცნების პროცესში იგი, შემეცნების იმ უზოგადესი კანონზომიერებით სარგებლობს, რითაც სპეციალური მეცნიერებანი სარგებლობენ.

მაგრამ, მეცნიერულ ონტოლოგიასაც, ისე, როგორც ფილოსოფიურ მეცნიერებას, თავისი სპეციფიკა აქვს, რომელიც განსხვავდება მეცნიერული ცოდნის სხვა დარგებისგან, რაც იმაში გამოიხატება, რომ სპეციალური მეცნიერებანი რეალური არსის ცალკეულ სფეროებს, სპეციალურ არსებებს იკვლევენ.

მეცნიერული ონტოლოგია, როგორც ფილოსოფიური დისციპლინა, კატეგორიული შემეცნებაა. იგი სუბსტანციურ არსებას უზოგადესი ცნებებით, ანუ ფილოსოფიური კატეგორიებით ასახავს. ამაშია ფილოსოფიური, კერძოდ მეცნიერულ-ონტოლოგიური შემეცნების თავისებურება.

რაც შეეხება სუბსტანციური არსების ზემოაღნიშნული ნიშნებს, ეს არის ის ნიშნები, რითაც ღმერთი ხასიათდება თეოლოგიაში. მართლაც, თუ დავუკვირდებით და სწორად ვიმსჯელებთ, მაშინ სუბსტანცია სხვა არაფერია გარდა ღმერთისა. სუბსტანცია არის ღმერთი, ანუ ღმერთი არის სუბსტანცია. ღმერთისა და სუბსტანციის იგივეობის შესახებ აზრი ახალ ფილოსოფიაში ყველაზე კატეგორიული ფორმით დეკარტმა და სპინოზამ გამოთქვეს: - „სიტყვის ქვეშ „ღმერთი“- წერს დეკარტი, - მე ვგულისხმობ უსასრულო, მარადიულ, უცვლელ, ყოვლისმცოდნე, ყოვლადძლიერ სუბსტანციას, რომელმაც მე და ყველა დანარჩენი ნივთები შექმნა.“<sup>4</sup> სპინოზა მთელ თავის მოძღვრებას ღმერთისა და სუბსტანციის იგივეობაზე აგებს. იგი წერს: „ღმერთის ქვეშ მე ვგულისხმობ აბსოლუტურად უსასრულო არსებას, ე.ი. სუბსტანციას.“<sup>5</sup> ღმერთში, როგორც სუბსტანციურ არსებაში არსება და არარსებობა ერთმანეთს ემთხვევა. „ღმერთის არსებობა და მისი არსება ერთი და იგივეა“<sup>6</sup> - წერს სპინოზა. ამასვე ამბობს ჰეგელიც. მისი მტკიცებით „აბსოლუტური არის ორივეს აბსოლუტური ერთიანობა“.<sup>7</sup>

ამრიგად, მეცნიერული ონტოლოგიის საგანი - სუბსტანციური არსება, ანუ აბსოლუტური არსი - არის ღმერთი. მაშასადამე, გამოდის, რომ მეცნიერული ონტოლოგიის საგანიც არის ღმერთი, ღვთაება. ამავე დროს, ცნობილია, რომ ღმერთი არის თეოლოგიის საგანიც. თეოლოგია არის მოძღვრება ღვთაების შესახებ. თეოლოგია ასაბუთებს ღმერთის არსებობას, შეიცნობს მის

ატრიბუტებს, არკვევს უსასრულო, სუბსტანციური არსების ურთიერთობას სასრულო სამყაროსთან და ა.შ. ამასთან, სწორედ ამ პრობლემებს იკვლევს მეცნიერული ონტოლოგიაც, როგორც „პირველი ფილოსოფია“, ანუ მოძღვრება სუბსტანციური არსების, - ღვთაების შესახებ.

საბოლოოდ, მეცნიერული ონტოლოგიის, ისევე როგორც თეოლოგიის საგანია აბსოლუტური არსი, ანუ ღმერთი. ჰეგელის მტკიცებით ფილოსოფიაც ამავე ნიადაგზე დგას, რომელზეც რელიგია; აქვს იგივე საგანი - „უზოგადესი, თავისთავადი და თავისთვის არსებული გონება“.<sup>8</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, ზემოთ თქმული ხომ არ ნიშნავს ონტოლოგიისა და თეოლოგიის ან კიდევ რელიგიისა და ფილოსოფიის გაიგივებას? როგორ შეიძლება მეცნიერული ონტოლოგიისა და თეოლოგიის საგნების გაიგივება, თუ ისინი განსხვავებული დისციპლინებია, ან რა შინაარსი შეიძლება ვიგულისხმოთ თეოლოგიის ცნების ქვეშ? ამ შემთხვევაში აუცილებელია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ ორგვარი თეოლოგია - ფილოსოფიური და რელიგიური. ცხადია ორივე მათგანის საგანი ღმერთია, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სრულიად განსხვავებული დისციპლინებია. საქმე იმაშია, რომ მათი მიდგომა ღმერთისადმი - აბსოლუტური არსისადმი - სრულიად განსხვავებულია.

ფილოსოფიური თეოლოგია არის მოძღვრება სუბსტანციური არსების შესახებ. მისი საგანია აბსოლუტური, მაგრამ რამდენადაც სუბსტანციური არსება, როგორც აბსოლუტური, არის ღმერთი. ამდენად იგი თეოლოგიას წარმოადგენს. სწორედ ამ აზრით მეცნიერული ონტოლოგია და ფილოსოფიური თეოლოგია ერთი და იგივეა. რამდენადაც მეცნიერული ონტოლოგია, როგორც ფილოსოფიური დისციპლინა და საერთოდ ფილოსოფია ამოდის დაკვირვებადობის გნოსეოლოგიური ინტერპრეტაციიდან,

მოიხმარს შემეცნების უზოგადეს საშუალებებს და აყალიბებს ცოდნას სუბსტანციური არსების შესახებ, ამიტომ იგი არის მეცნიერება, ცოდნის დარგი, შემეცნების შედეგი. მეცნიერული ონტოლოგია, ანუ ფილოსოფიური თეოლოგია არის მეცნიერული დისციპლინა. იგი ასაბუთებს სუბსტანციური არსების (ღმერთის) არსებობას, სასრული სამყაროს შემეცნების გზით. მაშასადამე, უსასრულოს შემეცნება სასრულოს შემეცნების გზით ხორციელდება.

რელიგიური თეოლოგია კი არის გამოცხადების თეოლოგია, იგი ისტორიულ ფაქტებს ემყარება, როცა ღმერთი ეცხადება ადამიანს და აუწყებს თავის ნებას. ერთი სიტყვით, რელიგიური ანუ გამოცხადების თეოლოგია ემყარება ღვთიური ჭეშმარიტების უშუალოდ გამოცხადებას ადამიანისთვის. ცხადია ასეთი მოძღვრება პრინციპულად განსხვავდება ფილოსოფიური თეოლოგიისაგან ანუ მეცნიერული ონტოლოგიისაგან, რომელიც შემეცნების შედეგს, ცოდნის დარგს, ანუ მეცნიერულ დისციპლინას წარმოადგენს. რელიგიური თეოლოგია რწმენის სფეროა და არა ცოდნის. გონების საშუალებით ღმერთის შემეცნება მეცნიერების ამოცანაა. ასეთია ფილოსოფიური თეოლოგია, რომელიც ყოველგვარი რელიგიურობის ნამდვილსა და მყარ საფუძველს წარმოადგენს.

აღნიშნულით ნამდვილად არ ამოიწურება მეცნიერული ონტოლოგიის, ანუ ფილოსოფიური თეოლოგიისა და რელიგიური თეოლოგიის განსხვავება. მეცნიერული ონტოლოგია, როგორც ცოდნის დარგი, მეცნიერებაა, რომელიც უზოგადეს ცნებებს, ე.ი. ფილოსოფიურ კატეგორიებს მოიხმარს. რელიგიური თეოლოგია კი დაფუძნებულია რწმენაზე, ამიტომ იგი სარგებლობს არა დაფუძნებული ცნებებით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ წარმოდგენებითა და სახეებით. სწორედ ეს განაპირობებს მეცნიერული ონტოლოგიის უპირატესობას რელიგიურ თეოლო-

გიაზე. თუმცა ეს უპირატესობა სრულიადაც არ ამცირებს რელიგიური თეოლოგიის ან რელიგიის მნიშვნელობას; პირიქით, სწორედ მეცნიერულ ონტოლოგიაში ანუ „პირველ ფილოსოფიაში“ წარმოებს რელიგიური თეოლოგიის (საერთოდ რელიგიის) მტკიცე დასაბუთება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავადგინოთ თუ რა გზით ახერხებს ფილოსოფიური თეოლოგია სუბსტანციური არსების შემეცნებას. ეს გზა არის არსებითად მეცნიერული შემეცნების გზა, რომლის საშუალებითაც შეიძლება სასრულო მოვლენების შემეცნება და რომელიც საბოლოოდ უსასრულოს, აბსოლუტურის შემეცნებამდე მიდის. ლაიბნიცის მტკიცებით ბუნება არის აბსოლუტური არსის - ღმერთის - გამოცხადება. ღმერთი გაცხადდება ბუნებაში, ამიტომ ბუნების შესწავლამ ღმერთის შემეცნებამდე უნდა მიგვიყვანოს. სხვანაირად რომ ვთქვათ ბუნების შემეცნება არის გზა სუბსტანციური არსების ანუ ღმერთის შემეცნებისაკენ. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ბუნებრივი ანუ ნატურალური თეოლოგიის ახალი საზრისის ჩამოყალიბება, სადაც ბუნებრივი თეოლოგიის ცნების ქვეშ ტრადიციულ ფილოსოფიაში უპირატესად გულისხმობდნენ რაციონალური მეთოდებით ღმერთის არსებობის დასაბუთებას. მაშასადამე, ბუნებრივ ანუ ნატურალურ თეოლოგიად ვთვლით ღმერთის ანუ სუბსტანციური არსების არსებობის დასაბუთებას საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფილოსოფიური ანალიზის საფუძველზე. ამასთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას, რომ ლაიბნიცი მართალი იყო, როცა ამბობდა, რომ ბუნების შემეცნებას ღმერთის შემეცნებამდე მივყავართ. მაშასადამე, ადამიანს არ აქვს მოკვეთილი გზა ღმერთის შემეცნებისკენ. აქვე შეგვიძლია მოვიყვანოთ შვეიცარიელი ბუნებისმეტყველისა და დიდი მეცნიერის, ბოსტონის, ჩარლსტონისა და ჰარვარდის უნივერსიტე-

ტების პროფესორი, ჟან ლუი რუდოლფ აგასისის სიტყვები, სადაც იგი ამბობს: „ქვეყანა ყველაზე თვალსაჩინო და მამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ არსებობს პიროვნული ღმერთი, შემოქმედი ყოველივე საგნისა და გამააზრებელი სამყაროსი. მეცნიერება კი შემოქმედის აზრების თარგმნაა ადამიანთა ენაზე“. ასევე, ცნობილი მეცნიერი და ბუნებისმეტყველი კარლ ლინეი უდიდეს სიყვარულსა და მოკრძალებას გამოხატავს ღვთის მიმართ, რომელსაც უწოდებს „პირველ მიუწვდომელ მამოძრავებელ ძალას, არსებას არსებათა, მიზეზს მიზეზთა, წინამძღოლსა და მფარველს სამყაროსი, უფალსა და შემოქმედს ყოველივესას! ამგვარად, სამართლიანია გვწამდეს, რომ არსებობს ღმერთი: დიდი, მარადიული და დაუსაბამო, რომელმაც შექმნა ქვეყანა და ყოველივე რაი არს მას შინა და მოაწესრიგა იგი. უფალი მიეფარება (ქრება) ჩვენს თვალთაგან, თუმცადა ადავსებს მათ ნათელით. ერთი მხოლოდ აზრი სწვდება მას, მხოლოდ ამ უღრმეს ტაძარშია დაფარული მისი სიდიადე (დიდებულება)“. დიდი ფრანგი მეცნიერი და ბიოლოგი, პარიზის უნივერსიტეტის პროფესორი და 1888 წელს დაარსებული მიკრობიოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ახლანდელი პასტერის ინსტიტუტის) პირველი დირექტორი ლუი პასტერი წერდა: „რაც უფრო ღრმად შევისწავლი ბუნებას, მით უფრო მაოცებს შემოქმედის საქმეები და მოწიწება მიჰყრობს. ლაბორატორიაში მუშაობისას ყოველთვის ვლოცულობ“.

ზემოთ დასახელებული მეცნიერების ნააზრევი და მათი სიტყვები იმაზე მიგვითითებს, რომ ყოველ მათგანს და ყველა დიდ მეცნიერს სწამს ღმერთი და მისი არსებობის დასაბუთებას მეცნიერებაში ხედავენ, რამდენადაც სწორედ მეცნიერებას, ბუნების შემეცნებას მივყავართ ღმერთის შემეცნებამდე.

აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ბუნებრივი თეოლოგია არ შეიძლება გავიგოთ, როგორც მეტაფიზიკური სპეკულაციური ანუ აპრიორული დარგი. იგი დაფუძნებულია ბუნებისმეცნიერებაზე და მაშასადამე ფილოსოფიურ ე.ი. მეცნიერულ დისციპლინას წარმოადგენს, რომლის დებულებები ისევე მკაცრი სიზუსტით საბუთდება, როგორც ყველა სხვა მეცნიერება.

რელიგია რელიგიურ რწმენას ემყარება. ეს იმას ნიშნავს, რომ ღმერთი რელიგიური მოძღვრების დასაწყისშია. რელიგია იმთავითვე ამოდის ღმერთის არსებობის იდეიდან. ღმერთის არსებობის დასაბუთება რელიგიაში არ ხდება. ფილოსოფიაში კი, როგორც ი. ბოხენსკი შენიშნავს, - „ღმერთი ბოლოსაა. რელიგია, რომელიც რწმენას ემყარება, იმთავითვე - ყოველგვარი დასაბუთების გარეშე - უშვებს ღმერთის არსებობას, ხოლო გერმანელი ფიზიკოს-თეორეტიკოსის მაქს პლანკის მტკიცებით ფილოსოფია და ბუნებისმეცნიერება ხანგრძლივი და ფუნდამენტური კვლევის შედეგად ღმერთის არსებობას ასაბუთებენ. მისი თქმით - „საითაც არ უნდა გავიხედოთ, რა საგანსაც არ უნდა დავაკვირდეთ, ვერსად ვიპოვით წინააღმდეგობას მეცნიერებასა და რელიგიას შორის. პირიქით, ჩვენ აშკარად დავინახავთ მათ შორის სრულ ჰარმონიას - რელიგიაც და მეცნიერებაც ეძებს წეშმარიტებას და მიდის ღვთის აღიარებამდე“.

აღნიშნული იმისი დასტურია, რომ საერთოდ ადამიანის სულიერი კულტურის ფორმები და კონკრეტულად კი, სულიერი მოღვაწეობის აქ დახასიათებული ფორმები: რელიგია, ფილოსოფია და მეცნიერება აბსოლუტურის წვდომისაკენ ილტვიან. მათ მთავარ მიზანს აბსოლუტური არსის წვდომა წარმოადგენს, რომელსაც ისინი სხვადასხვა ფორმით, საშუალებითა და დონით ახორციელებენ. მათგან ფილოსოფიას, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ,

უპირატესი მნიშვნელობა აქვს, როგორც სუბსტანციური არსების უშუალო მკვლევარს. თუმცა, ამ მხრივ მეცნიერებისა და რელიგიის ურთიერთმიმართებაც განსაკუთრებულია. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ რელიგიისა და მეცნიერების ურთიერთმიმართების განსაკუთრებულობა განპირობებულია მათი სპეციფიკით და მათი მჭიდრო ურთიერთკავშირით. მეცნიერება სულიერი კულტურის ისეთი სფეროა, რომელიც სინამდვილეს შეისწავლის; მისი შესასწავლი ობიექტი არის მთელი სინამდვილე: - ბუნება, საზოგადოება და აზროვნება. რელიგია კი, ასევე სულიერი კულტურის განსაკუთრებული ფორმაა და მისი ობიექტი არის ღმერთი, როგორც მთელი არსებული სინამდვილის შემოქმედი ძალა, რომელიც ყველა ადამიანის წარმოდგენაში ოთხი ნიშნით ხასიათდება: ყოვლადწმიდა, ყოვლად კეთილი, ყოვლის მცოდნე და ყოვლად ძლიერი. ღმერთის ეს მახასიათებელი ნიშნები, მიუხედავად რელიგიების განსხვავებულობისა ერთნაირად სწამთ მსოფლიოს ყველა ხალხებს. ამიტომ მათ ერთნაირი წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ საერთოდ ღმერთზე და რელიგიაზე, ე.ი. უნდა არსებობდეს რელიგიის ერთი საერთო ფორმა, რომელიც ერთნაირად მისაღები იქნებოდა ყველა ხალხებისთვის, ყოველ ეპოქაში. მაგრამ ფაქტია, რომ ეს ასე არ არის; არსებობს სხვადასხვა რელიგიური კონფესიები, თავიანთი განსხვავებული მრწამსითა და შინაარსით, რომელთა არსი მაინც ერთია ყველასათვის, ესაა ღმერთის რწმენა და მისი თაყვანისცემა. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ თვით ღმერთის იდეის გაგებაც განსხვავებულია სხვადასხვა ხალხებში და მათ რელიგიებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე იქმნება იმის პრეცედენტი, რომ რელიგიაც თავის მხრივ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მეცნიერების შესასწავლი ობიექტი ყოფილა, რადგან ეს არის განსჯის საგანი და მასზე განსხვავებული აზრი და წარმოდგენები არსებობს. და

მართლაც, რელიგიას შეისწავლის მეცნიერება, რომელსაც „რელიგიათმცოდნეობა“-ს ვუწოდებთ, ხოლო თვით რელიგიის დამოკიდებულება საერთოდ მეცნიერებისადმი და მისი როლის შეფასება კაცობრიობის პროგრესში სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა ხალხების მიერ სხვადასხვა იყო.

კაცობრიობის ისტორიის მანძილზე, მიუხედავად ათეისტური ლიტერატურაში არსებული ტენდენციისა, არამხოლოდ ღვთისმეტყველებს, არამედ, როგორც ზემოთ დავინახეთ გამოჩენილ მეცნიერებსაც უამრავი მტკიცე არგუმენტი მოჰყავთ იმის დასამტკიცებლად, რომ მეცნიერებასა და რელიგიას შორის არ არსებობს რაიმე წინააღმდეგობა. ამისი დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ უძველესი დროიდან უდიდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერების საფუძვლებს ქმნიდნენ კაცობრიობის ცივილიზაციის უძველესი კერები: - ეგვიპტე-ბაბილონის ქურუმები. ასევე უძველესი დროის უდიდესი ფილოსოფოსები და მეცნიერები: სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, პითაგორა და სხვები ღრმად რელიგიურნი იყვნენ, რომელთა ფილოსოფიურ-რელიგიურმა პრინციპებმა თეორიული საფუძვლები შეუქმნა შემდგომი დროის რელიგიურ აზროვნებას, მათ შორის ქრისტიანობასაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე ქრისტიანობის ფილოსოფიური შინაარსი იმაში უნდა დავინახოთ, რომ იესო ქრისტე არის ქვეყანაზე ღმერთის მოვლენა ადამიანის სახით. ის არის ღმერთკაცი, განასახიერებს ღმერთს ადამიანში, აკავშირებს ადამიანს ღმერთთან. სწორედ ამის გამო არის ღმერთის შემეცნების სრული უარყოფა შეუძლებელი. სუბსტანციური არსება, რომ მთლიანად მიუწვდომელი იყოს ჩვენთვის, მაშინ არც რელიგიის და არც ფილოსოფიის არსებობას გამართლება არ ექნებოდა, რადგან ფილოსოფიასაც ისევე, როგორც რელიგიას

ერთი და იგივე საგანი, - აბსოლუტური არსი, სუბსტანციური არსება აქვს.

როგორც დავინახეთ რელიგიური რწმენა სრულიადაც არ წარმოადგენს მიუღებელ სინდრომს მეცნიერული ცოდნის მიმართაც. ერთია გწამდეს ღმერთი, სულის უკვდავება, საიქიო ცხოვრება, კეთილი და ბოროტი სულების არსებობა, ღმერთის მიერ სამყაროს მართვის იდეა, სხვადასხვა რელიგიური წესჩვეულებები და მათი ღვთაებრივი ძალა და მეორეა ის, რომ შეიმუშაონ მეცნიერული ცოდნა სამყაროს მოვლენებისა და პრინციპების შესახებ, იკვლიონ მათი კანონზომიერებები და ჩამოაყალიბონ ისინი დებულებებისა და დასკვნების სახით. ამასთან, ერთია იკვლევდე სამყაროს ხილულ საგნებსა და მოვლენებს, ადგენდე მათი არსებობისა და ცვალებადობის კანონებს, რაც მიღწევადია ადამიანის გონებისათვის. ხოლო მეორეა გქონდეს ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელი, ზებუნებრივი ძალების ღირებულებათა რწმენა. ამ გაგებით რელიგია არათუ ხელს უშლის მეცნიერებას ცოდნის მიღებაში, არამედ პირიქით, ხელს უწყობს და სტიმულს აძლევს მას. სწორედ ამისი ნათელი მაგალითია ის უამრავი ფაქტი, რაც დაკავშირებულია ეკლესია-მონასტრებში სამეცნიერო და საგანმანათლებლო კერების არსებობასთან. ამისი დასტურია თუნდაც ეკლესიის მამები: წმიდა ვასილი დიდის, ნეტარი ავგუსტინეს, წმიდა თომა აქვინელის და სხვათა მოღვაწეობა.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო უდიდეს ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა დამსახურებაც მეცნიერების განვითარების ხაზით. ამისი ბრწყინვალე მაგალითია დიდი საეკლესიო მოღვაწე გაბრიელ ქიქოძე, რომლის შესახებაც დიდი ილია ჭავჭავაძე ამბობდა: „გაბრიელ ქიქოძე სარწმუნოებას ამეცნიერებდა, ხოლო მეცნიერებას ასარწმუნოებდა“. მსგავსი უამრავი მაგალითის

დასახელება შეიძლება, როცა დიდი მეცნიერი დიდი მორწმუნეც იყო და რელიგიის მსახურიც. როცა ღრმად მორწმუნე ადამიანები ეწეოდნენ აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობასაც.

უდიდეს რელიგიურ და სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა ქართველთა მიერ ბულგარეთის ტერიტორიაზე აშენებული პეტრიწონის მონასტერი, სადაც უამრავმა ნიჭიერმა ქართველმა ახალგაზრდამ მიიღო სამღვდელოების ხარისხი. პარალელურად სამღვდელო მოღვაწეობისა, ისინი ეწეოდნენ სამეცნიერო-საგანმანათლებლო და კულტურულ მოღვაწეობას. ამ მიმართებით პეტრიწონის მონასტერი იყო შუასაუკუნეების პერიოდის საქართველოს სასულიერო და საერო კადრების, სახელოვანი მეცნიერების აღზრდის და ფორმირების ერთერთი მთავარი ცენტრი, რომელიც უდიდესი აღიარებით სარგებლობდა ამ პერიოდში.

ასევე უდიდესი კულტურულ-საგანმანათლებლო და რელიგიური მოღვაწეობის ცენტრის აღიარებული სახელი ჰქონდა პალესტინაში აგებულ ქართველთა ჯვრის მონასტერს, შავი მთის სამონასტრო კომპლექსს სირიაში და ა.შ.

საბოლოოდ, ყველა ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ რელიგიას და მეცნიერებას, როგორც სინამდვილის შემეცნების ორ განსხვავებულ გზას შეუძლიათ თავისუფალი თანაარსებობა და განვითარება ისე, რომ ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ. ისინი ხომ როგორც სულიერი კულტურის განსაკუთრებული ფორმები, ორივე საზოგადოებრივი პროგრესის აუცილებელ პირობას წარმოადგენენ.

მიუხედავად აღნიშნულისა და იმ ფაქტისა, რომ მეცნიერება და რელიგია ერთმანეთს არ გამორიცხავენ, მათი არც ერთმანეთზე დაყვანა შეიძლება. მეცნიერების მიზანი არის მატერიალური

სამყაროს შემეცნება, რელიგიისა - მარადიული ცხოვრება და ღმერთთან ურთიერთობა. ამდენად, რელიგიისა და მეცნიერების ხელოვნური გაერთიანება და მათი ერთმანეთზე დაყვანაც არ შეიძლება, რადგან არსებითად განსხვავდება მათი საგანიც, მეთოდიც და მიზანიც. გარდა აღნიშნულისა, მეცნიერება განიცდის განვითარებას, ევოლუციას და ის, რაც დღეს ჭეშმარიტად მიგვაჩნია, ხვალ შეიძლება მცდარი აღმოჩნდეს, ან მოხდეს მისი კიდევ უფრო დაზუსტება. ამასთან, ადამიანის სულიერი ტკივილების დაყუჩება და მისგან განთავისუფლება არ შეუძლია არცერთ მეცნიერებასა და ტექნიკას, ეს მხოლოდ რელიგიას შეუძლია. სწორედ ჭეშმარიტი რელიგიაა ის ფენომენი, რაც ამშვიდებს ადამიანის სულს, მატებს მას მხნეობასა და სიცოცხლის სტიმულს; არეგულირებს ადამიანთა ქცევასა და მის ზნეობრივ ნორმებს.

## 2. რელიგიის მიმართება ზნეობასთან

სულიერი კულტურის ფორმათა შორის ურთიერთმიმართების ანალიზის დროს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს რელიგიისა და ზნეობის ურთიერთობის პრობლემა. ეს პრობლემა ისეთივე ძველია, როგორც თვით რელიგიური და ზნეობრივი სულიერი კულტურის ფორმები. შესაბამისად მათ ურთიერთობაში მრავალი საინტერესო ასპექტი იყრის თავს, რომელთა შორის განსაკუთრებით საინტერესოა რელიგიის ზნეობად და ზნეობის რელიგიად მიჩნევის ასპექტები.

რელიგიის მიჩნევა ზნეობის ამოსავალ პრინციპად იმდენად არსებითი საკითხია, რომ იგი დასაბამიდან დღემდე თანსდევს ყველა რელიგიას. ყოველი რელიგია მიიჩნევა ზნეობის არა მხოლოდ წარმოშობის წყაროდ, მის კრიტერიუმად, არამედ მის არსებად საერთოდ.

მოცემული პრობლემის გარკვევა შესაძლებელია ორი ერთმანეთთან დაპირისპირებულ პოზიციათა განხილვის შედეგად. ეს პოზიციებია, ერთის მხრივ პოზიცია, რომლის თვალსაზრისიც ასაბუთებს ზნეობის ღვთაებრივი წარმოშობის იდეას და თვლის, რომ ყოველი რელიგია, მიუხედავად მისი განსხვავებული მრწამსისა აღიარებს ზნეობრივი ნორმების ღვთაებრივ წარმოშობას. ამ თვალსაზრისის მიხედვით რელიგია, როგორც განსაკუთრებული ფენომენი, მიჩნეულია ზნეობის არა მხოლოდ არსებად, არამედ მის დამცველად, რომელსაც შეუძლია იხსნას კაცობრიობა დაღუპვისაგან. ამ თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ, მეორე პოზიცია თვლის, რომ ზნეობას არ აქვს არავითარი კავშირი რელიგიასთან. იგი მხოლოდ და მხოლოდ ადამიანთა

სოციალურ პირობებს, ცხოვრების მატერიალურ მხარეს უკავშირდება და პირდაპირ გამოდის საზოგადოებრივი განვითარების კანონებიდან, რისიც რელიგია შემაფერხებელია მხოლოდ.

აღნიშნული ამ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციის პრინციპებიდან გამომდინარე, იმის მიხედვით, თუ ვინ რომელს იზიარებს, ადამიანები იყოფა ორ კატეგორიად: - მორწმუნეებად და არამორწმუნეებად, ათეისტებად. მორწმუნეების პოზიციის მიხედვით რელიგიის არსებითი შინაარსი მდგომარეობს ღმერთის რწმენაში, ხოლო თვით ღმერთი წარმოდგენილია, როგორც ყოვლის შემძლე ძალა, რომელსაც არაფერი დაემალება და იმის მიხედვით განსჯის ადამიანების ბედს, თუ რას ჩაიდენენ ისინი, ღმერთისთვის სასურველს თუ არასასურველს. ამასთან, ადამიანის მიერ ღმერთისთვის სასურველი ქმედება ითვლება ზნეობრივად, ხოლო ვისაც არ სწამს ღმერთი, მას ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს ჩაიდინოს ღმერთის საწინააღმდეგო ქმედება, რაც თავის მხრივ ფასდება როგორც უზნეო ქმედება.

მოცემული პოზიციების ჭეშმარიტება-მცდარობის დასადგენად და იმის გასარკვევად, თუ რომელი მათგანია ჭეშმარიტი და რომელი მცდარი, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა სამყაროს რაობის, მისი არსებობისა და ამ სამყაროში ადამიანის როლისა და შესაძლებლობების შესახებ. დადგენილი რეალობაა, რომ სამყარო თავისი მასშტაბებით უსასრულოა, ხოლო თავისი არსით ამოუწურავი. მისი აბსოლუტური შემეცნება შეუძლებელია ადამიანის გონებისათვის.

სწორედ, ამ უხილავ სამყაროს უკავშირდება რელიგიისა და ზნეობის ურთიერთმიმართების გარკვევის საკითხი. საქმე იმაშია, რომ რწმენა ურთულესი ფენომენია ადამიანის სულიერ სამყაროში

და მისი სათავეები გონებითი წვდომის ფარგლებში კი არ იმყოფება, არამედ ინტუიციურ გამოცხადებებში, რომელიც ცოცხალი გამოცხადების გზით მიიღწევა მხოლოდ. ამიტომაც, რომ რელიგიურობა ახასიათებს ნებისმიერ ადამიანს, იქნება იგი აბსოლუტურად გაუნათლებელი თუ ღრმად განათლებული მეცნიერი. სწორედ ამასთან დაკავშირებით ამბობდა ელინისტური ფილოსოფიის უდიდესი წარმომადგენელი, დიდი ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი, რომ: „როცა ჩვენ ღმერთს ვხედავთ, ვხედავთ არა გონებით, არამედ უფრო უმაღლესით, ვიდრე გონებაა. ეს „უფრო უმაღლესი“ არის სწორედ რწმენა, რომელიც არ შეიძლება გავაიგივოთ სულიერი ცხოვრების სხვა რომელიმე სფეროსთან. იგი არის განსაკუთრებული მოწიწება უმაღლესის მიმართ, რომელიც არც თუ იშვიათად გადმოსულა იმ ადამიანზე, რომელსაც ეწვევა მისი ყოვლისშემძლეობა. ამას ადასტურებს ის უამრავი ფაქტი, რომელიც გვიხსნის მისტიკური ცნობიერების ბუნებას. რელიგიურ გრძნობას იწვევს უმაღლესის რეალური განცდა, როცა ადამიანი აკვირდება სამყაროს მრავალფეროვნებასა და მის კანონზომიერებას, არ შეიძლება არ დაინტერესდეს მისი საფუძვლებით, მისი პირველი საწყისით, რაც არ შეიძლება სხვა რამ იყოს, თუ არა ღმერთი. და, სწორედ ამგვარი ცნობიერებაა, რომელიც უნივერსალურ ხასიათს ატარებს, რამდენადაც ღმერთთან „შეხვედრა“, მისი შეგრძნება, ყველა ადამიანის ცხოვრებაში ხდება. თვით სიტყვა „რელიგია“, როგორც საეკლესიო მწერალი ლაქტანციუსი წერს, ნიშნავს „კავშირს“. მასში სწორედ იგულისხმება „კავშირი“ ღმერთსა და ადამიანს შორის. ამასთან, ღმერთის მოაზრება იმას გულისხმობს, რომ იგი ჩვენთვის ყოვლად კეთილი არსებაა, რაც რელიგიური ცნობიერებისთვის ნიშნავს უმაღლესი სიკეთის მიმართ სამსახურს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ რელიგია არის ზნეობრივი ცხოვრების საფუძველი, რომლის ეთიკური პრინციპებიც ვლინდება საზოგადოების წინაშე მოვალეობის შესრულებაში. იგი ადამიანებს განაწყოებს გაუზიარონ ერთმანეთს მათი შინაგანი მრწამსი, ხელს უწყობს ადამიანთა შორის ურთიერთობის დამყარებასა და კეთილგანწყობის ჩამოყალიბებას.

ამდენად, ნებისმიერი რელიგია, მიუხედავად მისი მრწამსისა, ზნეობას მიიჩნევს ღვთაებრივი გამოვლენის ფორმად და თვლის, რომ სწორედ მათი დამოკიდებულების განსხვავებული ფორმები და ღვთის შემეცნების სხვადასხვა დონე განსაზღვრავს რელიგიების ისტორიულ მრავალფეროვნებასაც. მიუხედავად ამ მრავალფეროვნებისა, ყველა რელიგია ზნეობრივი მოთხოვნების მიხედვით მაინც ერთნაირია. ეს კი თავის მხრივ აიხსნება ადამიანური ბუნების ერთიანობითა და შესაბამისი ზნეობრივი მოთხოვნილების მსგავსებით. თუმცა, ყველა რელიგიას ზნეობრივი ნორმებისა და კანონების თავისი ავტორი ჰყავს. ბუდისტურ რელიგიაში ასეთ ავტორად ბუდას მიიჩნევენ, ისლამის რელიგია მისი ნორმებისა და პრინციპების შემოქმედად ალაჰს აცხადებს. იუდაიზმის მიხედვით მისი ზნეობრივი მცნებები და პრინციპები ღმერთის კარნახით მოსემ მოუტანა ხალხს, ხოლო ქრისტიანული რელიგია ძირითადად იზიარებს მოსეს მცნებებს და შემდგომ ავსებს მათ მთაზე წარმოთქმული ქადაგებებით, ე.წ. ცხრა ნეტარებით, რომელთაც ზოგადსაკაცობრიო ხასიათს აძლევს.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, ყველა არსებული მონოთეისტური რელიგიისათვის ზნეობრივი ასპექტი, ეს არის ძირითადი და არსებითი ნორმა, სადაც თითოეულ მათგანს მისთვის დამახასიათებელი და ასევე არსებითი რელიგიური მოძღვრება განაპირობებს. ამათგან განსაკუთრებით გვინდა

შევჩერდეთ საკუთრივ ქრისტიანული რელიგიის ზნეობრივ პრინციპებზე.

ქრისტიანული რელიგიის ზნეობრივი შინაარსი ნათელია. იგი ადამიანთა ზნეობის დაფუძნების ავტორიტარულ წყაროდ, როგორც აღვნიშნეთ უზენაეს შემოქმედს, ღმერთს მიიჩნევს. ამ მხრივ იგი სხვა სარწმუნოებრივი სისტემებისაგან არც განსხვავდება, მაგრამ მათგან განსხვავებით ქრისტიანული რელიგიის სპეციფიკურობა ერთარსი ღმერთის სამსახოვნების - მამა ღმერთის, ძე ღმერთის და სული წმიდის აღიარებაშია. სამების რწმენას კი არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ქრისტიანული ღვთაებრივი ზნეობის დაფუძნებისათვის. ეს იმითაცაა განსაკუთრებული, რომ ღვთაებრივი სამების ერთერთ სახეს წარმოადგენს ძე ღვთისა ქრისტე, რომელიც სულიერად და სხეულებრივად განკაცებული მოუვლინა უზენაესმა მის მიერვე შექმნილთ, მსგავსად მისისა ხატისად, როგორც ადამიანთა ზნეობრივი ცხოვრების იდეალი.

ქრისტე, როგორც ძე ღვთისა და ძე ადამიანისა იშვა ღვთის ნებით, გაიზარდა ადამიანთა შორის, უზენაესის დავალებით უქადაგებდა ადამიანებს ზნეობრივი ცხოვრების წესებს და პირადი მსხვერპლის ფასად იხსნა ისინი ცოდვებისაგან. მკვდრეთით აღსდგა, ზეცად ამაღლდა და მამაღმერთთან და სულიწმიდასთან ერთად განაგებს ადამიანთა ცხოვრებას, მათ ბედ-ილბაღს, წარმოადგენს მათი ზნეობრივი ქცევის ორიენტირს. აქედან გამომდინარე ნათელია, რომ ერთარსება სამსახოვანი ღმერთის რწმენა განსაზღვრავს ქრისტიანთა პრაქტიკულ ზნეობას. იყო მორწმუნე ქრისტიანი, - ნიშნავს იყო ზნეობრივი. რაც თავის მხრივ იმას ნიშნავს, რომ ადამიანის ცხოვრების მიზანი მისი ღმერთთან შეერთება უნდა იყოს, რაც ქრისტიანული სიყვარულის გზით მიიღწევა, ხოლო სიყვარული ქრისტიანული ზნეობის

უმაღლესი პრინციპია. ამასვე გვეუბნება ათი მცნება, სადაც პირველი ოთხი ღმერთის სიყვარულს ეხება, ხოლო დანარჩენი ექვსი კი ადამიანის სიყვარულს. ახალ აღთქმაში ნათლადაა გადმოცემული ჭეშმარიტი ცხოვრების არსი, როგორც ღვთაებრივი სიყვარულის გამოვლენა, რომლის მაგალითებსაც ქრისტეს საქმეებში ვხედავთ. ქრისტეს იგავებში ნათლად ჩანს კარგი თუ ცუდი ქცევის ნორმები, რომელთა შეფასებაც იძლევა ზნეობის შესაბამის ხარისხს. აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქრისტიანული სიყვარულის საკითხს, სადაც მხოლოდ მოყვასის სიყვარული კი არაა, არამედ მტრის სიყვარულიც. იგი გვასწავლის, რომ მტერს სამაგიერო მტრობით კი არ უნდა გადაუხადო, არამედ სიყვარულით, რაც მიტევებისა და მონანიების პრინციპით არსებობს.

ადამიანის სიყვარული ადამიანისადმი მომდინარეობს მისი სიყვარულიდან ღმერთისადმი. თუ გიყვარს ღმერთი, მაშინ შეგიყვარდება მისი მსგავსიც - ადამიანი. და პირიქით, ადამიანისადმი სიყვარულით დასტურდება სიყვარული ღმერთისადმი. ქრისტე თავის მოწაფეებს მიმართავდა: „იმით გიცნობთ ყველა, რომ ჩემი მოწაფეები ხართ, თუ გექნებათ ერთმანეთის სიყვარული“ (იოან.13,35).

ქრისტიანული რელიგიის თანახმად, სიყვარული წარმოადგენს ადამიანის ზნეობრივი ცხოვრების იმ კანონს, რომელშიც ვლინდება ადამიანის სულის მოთხოვნილებებისა და ღმერთის სრულყოფილი ნების თანამთხვევა. ახალი აღთქმის ათ მცნებაში, მიუხედავად მისი მსგავსებისა ძველი აღთქმის ზნეობრივ მოთხოვნებთან, აშკარად ჩანს შინაარსობრივი სიახლეები, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქრისტიანული ზნეობა სრულყოფილი და განვითარებულია ადრინდელ სარწმუნოებრივ სისტემებთან შედარებით.

ნათქვამის ნათესაყოფად განვიხილოთ პირველი ოთხი ქრისტიანულ-ზნეობრივი მცნებები და დავრწმუნდეთ ჩვენი დებულების სისწორეში.

**მცნება პირველი:** „მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი“, „არ გაიჩინოთ ჩემს გარდა სხვა ღმერთები (გამ. 20-2,3). ეს მცნება გვამცნობს და გვავალდებულებს, რომ ვიწამოთ უმაღლესი საწყისი - ღმერთი. იგი შეიცავს იმის ზნეობრივ აუცილებლობას, რომ ადამიანს უყვარდეს ღმერთი, როგორც უმაღლესი სრულყოფილება, ჭეშმარიტების, სიკეთისა და სილამაზის განსახიერება. პატივი სცეს მას, ადიდოს და მადლიერების გრძნობით განიმსჭვალოს მისი მოწყალების გამო. პირველი მცნება, გარდა იმისა, რომ ადამიანს მოუწოდებს ღმერთის სიყვარულისკენ, იგი ადამიანის სულში აღძრავს ღმერთისადმი დაახლოების მისწრაფებას, რაც შესაძლებელია მხოლოდ ღმერთის ბუნების შესაბამისი კეთილი ცხოვრებით, წმიდა საქმეებით. „მრუდე ზრახვები უფალს გვაშორებს“(სიბრძ.1.3). „მზაკვარ სულში სიბრძნე ვერ შეაღწევს“(სიბრძ.1.4). ღმერთის რწმენას ადამიანის ცხოვრებაში შემოაქვს კეთილგონიერება, სიმშვიდე, იმედი, სიმტკიცე, განსაცდელისადმი შეუდრეკელობა. ადამიანი ღმერთში ხედავს თავის დამცველ და მაცოცხლებელ ძალას. ამიტომ მისი ზნეობრივი სახის განუყოფელი ნიშანი უნდა იყოს ღმერთის დიდება, თაყვანისცემა, ლოცვა, რელიგიური წესებისა და რიტუალების დაცვა. აქედან გამომდინარე ადამიანი უნდა ზრუნავდეს განიმტკიცოს ღმერთისადმი რწმენა და იყოს მისი ერთგული.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელი არის, რომ ქრისტიანული ზნეობის უმაღლესი ღირებულება განისაზღვრება თვით იესო ქრისტეს, როგორც პიროვნული ღმერთის იდეალების

კრიტერიუმით. ამ საკითხზე პასუხს იძლევა ქრისტიანულ-ზნეობრივი კოდექსის მეორე მცნება.

**მცნება მეორე:** კატეგორიულად კრძალავს კერპთაყვანისმცემლობას; ამის შესახებ ახალი აღთქმა გვეუბნება: „არ გაიკეთო კერპები, არც რამე ხატი იმისა, რაც არის მაღლა ცაში, დაბლა მიწაზე და წყალში მიწის ქვეშ“ (გამოსვ.20,4). ამ მცნების თანახმად ცრუკერპების რწმენა უზნეობაა, რომლისთვისაც ჭეშმარიტი ღმერთი პასუხს აგებინებს მის მოძულეებს და მათ შვილებსაც კი „მესამე და მეოთხე თაობაში“ (გამ.20,5).

რეალური ფაქტია, რომ ქრისტიანული რელიგია არ უარყოფს ჭეშმარიტი ღმერთის და წმინდანების ხატებისადმი პატივისცემას. წმიდა ხატები, ვისი გამოსახულებითაც არ უნდა იყოს: იესო ქრისტე, მარიამ ღვთიშობელის, მოციქულების თუ სხვა წმინდანების, მორწმუნე ადამიანში ბადებენ სიყვარულის, სიკეთის, თაყვანისცემის და მაღლიერების გრძნობებს. ისინი იმედს უსახავენ მორწმუნეს, რომ ხატების წინაშე ლოცვა-ვედრებით სულიერ მიმართებას დაამყარებენ ყოვლისშემძლე ღმერთთან, რომელიც შეისმენს და აღასრულებს მათ თხოვნას. წმიდა ხატების თაყვანისცემა და მათი საშუალებით ღმერთთან დაახლოება ამკობს მორწმუნის ზნეობას.

ადამიანის ზნეობის, მისი მაღალი სულიერების დამამშვენებელი ღვთაებრივი მოთხოვნებია მესამე და მეოთხე მცნებები.

**მცნება მესამე:** „არ დაიფიცო ფუჭად უფლის, შენი ღვთის სახელი, რადგან დაუსჯელი არ გადაურჩება უფალს მისი სახელის ფუჭად მოფიცარნი“ (გამ. 20.7). მესამე მცნება მორწმუნე ადამიანში აყალიბებს უზენაესისადმი ღრმა პატივისცემისა და მოკრძალების ზნეობრივ დამოკიდებულებას. ღმერთისათვის მიცემული აღთქმის დარღვევა და ფიცის გატეხვა წარმოადგენს უდიდეს დანაშაულს. ადამიანი

ყოველთვის უნდა ცდილობდეს, რომ ღვთისადმი მიცემულ სიტყვას უფარდებდეს თავის მოქმედებას. უნდა ცდილობდეს, რომ ტყუილუბრალო დაფიცებით ჩრდილი არ მიაყენოს ღვთისადმი მიცემულ სიტყვას.

ადამიანის მიმართება ღმერთისადმი, ღმერთზე მისი ორიენტაციის აღება განამტკიცებს თვით ადამიანის ნებისყოფას, რაც მართლაც რომ აუცილებელია მისი ზნეობრივი ქცევისა და მოქმედებისათვის.

ქრისტიანული ზნეობისთვის მიუღებელია ღმერთისადმი საყვედური და მისი სახელის აუგად მოხსენიება. აგდებული დამოკიდებულება ადამიანს უქადის საშინელ მომავალს. ასეთი ადამიანები უზნეო და ღვთის მოძულეებად შეირაცხებიან და მათი მოქმედება ისეთივე მიუღებელია ქრისტიანული ზნეობისათვის, როგორც ფიცის გატეხვა.

ქრისტიანული ზნეობის მიხედვით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ღვთის დიდებისკენაა მიმართული მეოთხე მცნებაც.

**მცნება მეოთხე:** „გახსოვდეს შაბათი დღე, რომ წმიდა ჰყო იგი. ექვს დღეს იმუშავე და აკეთე შენი საქმეები, მეშვიდე დღე კი უფლის, შენი ღვთის შაბათია. არა საქმე არ გააკეთო არც შენ, არც შენმა ვაჟმა, არც შენმა ასულმა, არც შენმა ყმამ, არც შენმა მხევალმა, არც შენმა პირუტყვმა, არც შენმა მდგმურმა სახლში რომ გყავს“ (გამ. 20,8,9,10). ქრისტიანული რელიგია მორწმუნის ზნეობრივი ქცევის ამ ნორმას საფუძვლად უდებს ბიბლიურ დოგმატს, რომ ღმერთმა შექმნა სამყარო ექვს დღეში, ხოლო მეშვიდე დღეს დაისვენა. რაც შეეხება კვირა დღეს, როგორც უქმე დღეს, იგი ქრისტიანული ზნეობრივი შეგონებით უნდა დაეთმოს ღვთისმსახურებას, გამოყენებულ იქნას ღვთის სადიდებლად. ამ დღეს უნდა ილოცოს ადამიანმა, შევევედროთ ღმერთს გადაგვაფაროს მოწყალების კალთა, დავეუფლოთ საღვთო წერილის ჭეშმარიტებებს, დავესწროთ

ღვთისმსახურებას ეკლესიებსა და ტაძრებში, რითაც გამოვხატავთ სიყვარულსა და პატივისცემას ღმერთისადმი.

გარდა საეკლესიო ღვთისმსახურებისა, კვირადღე მორწმუნემ უნდა გამოიყენოს საქველმოქმედო საქმიანობისთვისაც. ამ დღეს მორწმუნემ უნდა გასცეს დახმარება, ლატაკებს, ავადმყოფებს, დავრდომილებს, გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფ სხვადასხვა ადამიანს, რითაც იგი გამოავლენს საკუთარ ზნეობრივ კეთილშობილებასა და სათნოებას, რაც თავისთავად გულისხმობს ღმერთისადმი სიყვარულს. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ შეაგონოს მორწმუნე ღმერთს სცეს პატივი და არავინ და არაფერი დააყენოს მასზე მაღლა. ამით კი მტკიცე საფუძველს შეუქმნის საკუთარ ზნეობრიობას.

ცხოვრებისეული რეალობაა, ადამიანს, როგორც წესი, პირად თუ ოჯახურ ცხოვრებაში თან სდევს სხვადასხვა უსიამოვნებანი. მრავალი განსაცდელი, ფიზიკური თუ სულიერი ტრავმები, ავადმყოფობანი, ახლობელთა სიკვდილი და სხვა ტრაგედიები. ამასთან, ხშირად ადამიანს ითრევს სოციალური კონფლიქტები, ხელმოკლეობა, უუფლებობები. იგი ხდება ძალადობის მსხვერპლი და ა.შ. მაგრამ ღმერთისადმი სიყვარული აძლევს მას ძალას, არ დაეცეს სულიერად. ღმერთისადმი პატივისცემა და ღვთის სადიდებელი ქრისტიანული ზნეობრივი ნორმების დაცვა შეაძლებინებს მას გაუძლოს ყოველივეს და აღივსოს ზეციური ნუგეშით. ღმერთისადმი სიყვარულის ძალა გააძლებინებს და დააძლევინებს ყოველგვარ გასაჭირს. მარადიული ნეტარება და ხანგრძლივი სიცოცხლე დაისადგურებს მის ცხოვრებაში. მაგრამ ხდება პირიქითაც, ადამიანი, რომელიც არ იცავს ზნეობრივ კანონებს, უგულველყოფს სულიერი ცხოვრების ნორმებს და წინა პლანზე აყენებს ხორციელ მოთხოვნილებებს, თავის თავს არგუნებს სამუდამო ტანჯვას.

ყოველივე აღნიშნული არც იმას ნიშნავს, რომ ქრისტიანული ზნეობა ამართლებდეს მხოლოდ და მხოლოდ ადამიანების ტანჯვა-წვალების მდგომარეობას, მოუწოდებდეს მათ განსაცდელისადმი უსიტყვო შემრიგებლობისაკენ! (ეს რომ ასე იყოს, მაშინ რაღა აზრი ექნებოდა ღვთის რწმენას?) და არც იმას, რომ იგი უგულვებელყოფდეს ამ ნორმების დაცვის აუცილებლობას. ქრისტიანული რელიგიისათვის ტანჯვის ატანა არ არის თვითმიზანი. ქრისტიანობა შთააგონებს მორწმუნეს, რომ არა უბრალოდ აიტანოს და შეეგუოს ტანჯვას, არამედ აქტიურად დახვდეს და შემართებით გადაიტანოს იგი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქრისტიანული ზნეობა შეიცავს არა ტანჯვის მდგომარეობაში ადამიანთა დარჩენას, არამედ ტანჯვის მდგომარეობიდან მათ გამოსვლის ოპტიმისტურ მოწოდებას.

ქრისტიანული რელიგიის ერთერთი ძირითადი ზნეობრივი მოთხოვნა სწორედ ესაა მშვიდობიანი და უშფოთველი ცხოვრება. არცერთი რელიგია, მათ შორის ქრისტიანული, გულგრილი ვერ დარჩება იმათ მიმართ, ვინც ძალისმიერი ხერხებით ცდილობს სარწმუნოების საფუძვლების შერყევას, საიდანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი. საჭიროების შემთხვევაში ქრისტიანული რელიგია ამართლებს კიდევ ძალის გამოყენებას მოძალადის მიმართ. ძალადობა ანტიქრისტიანული ბოროტების წინააღმდეგ არის არა ბოროტება, არამედ სიკეთე. თუმცა, სხვა შემთხვევაში ძალაში რჩება ქრისტიანულ-ზნეობრივი მოთხოვნა: „ნუ მიაგებთ ბოროტს ბოროტის წილ, ნურც გინებას გინების წილ, არამედ აკურთხევდით წინააღმდეგომს და იცოდეთ, რომ იმისთვის ხართ ხმობილნი, რათა დაიმკვიდროთ კურთხევა (1 პეტრ. 3,9). მორწმუნე ყოველთვის უნდა ცდილობდეს, რომ თავიდან აიცილოს ბოროტება, არ ჩავარდეს ცოდვაში. „განერიდე ბოროტს, ქმენი კეთილი, მოიძიე მშვიდობა და მისდიე მას“ (1 პეტრ. 3,11).

ამრიგად ბოროტებისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობა ბოროტების აღკვეთას, სიკეთის ქმნის მიზანს ემსახურება, რაც ქრისტიანული რელიგიური ზნეობის ქვაკუთხედად მიიჩნევა, ქრისტიანობის ზნეობრივი კოდექსი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს თანამედროვე პირობებში. მისი ძირითადი საკითხი არის ცხოვრების შეფასების, მისი ღირებულების გარკვევის საკითხი. ესაა, როგორც ითქვა, ადამიანის სიცოცხლის აზრისა და მიზნის საკითხი. რაში მდგომარეობს ადამიანის სიცოცხლის აზრი, როგორია მისი ცხოვრების მიზანი, ვინ სახავს ამ მიზანს და რას მოითხოვს იგი ადამიანისგან. ეს არის საკითხთა ის ჯგუფი, რომელიც ძირითადად ამოწურავს ყოველი რელიგიისა და ზნეობის არსებას, ღმერთის სიყვარულთან ერთად, რაზეც უკვე ითქვა.

აქვე ხაზგასმით უნდა ითქვას ქრისტიანული რელიგიის იმ ზნეობრივი პრინციპის შესახებ, რომელიც წარმოდგენილია ახალ აღთქმაში და ეხება მშობლებისადმი პატივისცემის საკითხს.

მშობლებისადმი პატივისცემა ახალი აღთქმის მიხედვით არის არამარტო ამქვეყნიური ხანგრძლივი და კარგი ცხოვრება, არამედ ადამიანთა იმქვეყნიური სამარადისო ცხოვრების აუცილებელი პირობაც.

ახალი აღთქმის მიხედვით მშობლებისადმი პატივისცემის ზნეობრივი მოთხოვნა ფორმულირებულია შემდეგი სახით: „პატივი ეცი მამას შენსას და დედას; და შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ (მათ. 19,19). ამ ფორმულირებაში ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ სიყვარულისა და პატივისცემის მოთხოვნა მიმართულია როგორც მშობლების, ისე მოყვასის მიმართ საერთოდ. ამდენად, სიყვარული და პატივისცემა გაგებულია, როგორც საერთოდ ყველა ადამიანური არსების მომცველი, რომელიც მომდინარეობს მშობლების სიყვარულისა და პატივისცემიდან. რაც

თავისმხრივ გულისხმობს მშობლების სიყვარულსა და პატივისცემასაც შვილებისადმი.

მშობლებისადმი უპატივცემულო დამოკიდებულებას შვილების მხრიდან საღმრთო წიგნი მძიმე ცოდვად მიიჩნევს. შვილები, რომლებიც ფიზიკურ ან სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებენ თავიანთ მშობლებს არა მხოლოდ ზნეობრივ გაკიცხვას, არამედ უმკაცრეს სამართლებრივ სასჯელს იმსახურებენ. ამასთან დაკავშირებით ძველი აღთქმა „გამოსვლაში“ გვეუბნება: „ის, ვინც შემოკრავს თავის მამას და დედას, სიკვდილით უნდა დაისაჯოს“ (გამ. 21,15). იგივე აზრი მეორდება „ლევიაანში“: - „ვინც თავის მამას და თავის დედას შეურაცხყოფს, უნდა მოკვდეს... მასზეა მისი სისხლი“ (ლევ. 20,9). „ვინც მამაზე ძალმომრეობს და დედას დევნის, იგი უტიფარი და მარცხვენალი შვილია“ (იგავ. 19,25). უფალის ნებით საზოგადოება უნდა განიწმინდოს ასეთი უზნეო ადამიანებისაგან.

საღვთო წიგნი იძლევა მშობლებისადმი პატივისცემისა და მათი დაფასების გამაკეთილშობილებელ ზნეობრივ მოთხოვნებს. „მამის პატივისცემელი ცოდვათაგან განიწმინდება“ (ზირ. 3,3). „მამის მაღიდებელი დღეგრძელი იქნება“, „საქმით და სიტყვით პატივი ეცი მამას, რათა მისი კურთხევა გადმოვიდეს შენზე“ (ზირ. 3,6,8). „სირცხვილია შვილებისათვის შეურაცხყოფილი დედა“ (ზირ. 3,11).

აღნიშნულიდან გამომდინარე გასაგებია, რომ მშობლებისადმი პატივისცემის გამოხატულება არის შვილების მორჩილება მათ მიმართ, მშობელთა რჩევა-დარიგების დაჯერება, „შვილებო დაემორჩილეთ თქვენს მშობლებს“ (ეფეს. 6,1). საღმრთო წიგნი მოუწოდებს შვილებს, რათა კეთილსინდისიერად აღასრულონ მშობლებისადმი ღირსეული დამოკიდებულების განმსაზღვრელი ეს ზნეობრივი წესი. შვილის ზნეობრივი მოვალეობაა გვერდში ამოუდგეს მშობლებს ყველა გასაჭირში, განსაკუთრებით

ავადმყოფობის, მოხუცებულობის, დაუძლურების და საერთოდ ყველა მძიმე განსაცდელის დროს. „შვილო, მამაშენს სიბერეში შეეწიე და ნუ დაამწუხრებ მას სიცოცხლეში“ (ზირ. 3,12).

თავისმხრივ დიდი მოვალეობები აკისრიათ მშობლებსაც შვილების მიმართ. ქრისტიანული ზნეობა მოითხოვს მშობლებისაგან აღზარდონ შვილები ქრისტეს რწმენის საფუძველზე, იზრუნონ მათი სწავლა-განათლების, კეთილდღეობისა და მშვიდობიანი ცხოვრებისათვის. „მამებო ნუ განარისხებთ თქვენს შვილებს, არამედ აღზარდეთ ისინი უფლის შეგონებით და სწავლით“ (ეფეს. 6,4). ამასთან, მათ უნდა შთაუწერგონ პატივისცემა უფროსისადმი; ქრისტიანული ზნეობა აუცილებლად მოითხოვს ახალგაზრდის მიერ უფროსისადმი პატივისცემასა და მოკრძალებას, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ქრისტიანობისთვის არაზნეობრივია.

ქრისტიანული რელიგიის მიხედვით ასევე აუცილებელი ზნეობრივი მომენტია პატივისცემა ქალისადმი, როგორც დედისადმი. ქრისტიანული ზნეობის მიხედვით ადამიანურ სულს ფიზიკური არსებობა ქალის, - დედის საშუალებით ენიჭება . დედამ, - ყოვლად წმიდა მარიამმა შვა ხორციელი ღმერთი - იესო ქრისტე, მის კალთაში იგრძნო მან დედის სითბო. ამიტომ, მუდმივი მადლიერების გრძნობით უნდა განვიმსჭვალეთ დედის მიმართ, ვადიდოთ დედა, თაყვანი ვცეთ მის ღირსებას. „საუნჯის მაუნჯებელივით არის დედის მადიდებელი“ (ზირ.3,4); „დედის განმარისხებელი დაწყევლილია უფლისაგან“ (ზირ. 3,16).

დედისადმი ბუნებრივ პატივისცემას ამაღლებს და აძლიერებს ის გარემოება, რომ საქართველო, რელიგიური გადმოცემით, არის ყოვლადწმიდა მარიამ ღვთიმშობლის წილხვედრი ქვეყანა, ამიტომ დედის ფენომენი განსაკუთრებით ძვირფასია ქართველი ხალხისათვის.

ქრისტიანული ზნეობის მიხედვით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ოჯახურ სიმტკიცესა და ცოლ-ქმრული ურთიერთობის მოწესრიგებას. აუცილებელი და დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ცხოვრებაში ზნეობრივ მცნებას „არ იმრუშო“. ცოლ-ქმარს შორის ერთგულება და ურთიერთპატივისცემა არის მონოგამიური ოჯახის ზნეობრივი სიმტკიცის საფუძველი. „ვიდოდეთ სიყვარულით“. „ქმრებო, გიყვარდეთ თქვენი ცოლები“ (ეფერ. 5,25). „ცოლის მოყვარეს თავის თავი უყვარს“ (ეფერ. 5, 21); ასევე ცოლებს უნდა უყვარდეთ ქმრები და მორჩილებდნენ მათ. „ქმარი ჯეროვან პატივს მიაგებდეს ცოლს და ასევე ცოლი - ქმარს“ (1 კორ. 7,3), რამდენადაც ორივე თანამემკვიდრეა ამ ლამაზი ცხოვრებისა.

ქრისტიანული ზნეობისათვის მიუღებელია ოჯახის დაშლა, თუ იგი აუცილებლობით არ არის განპირობებული და ეს აუცილებლობა არის მხოლოდ ერთ-ერთის, ცოლის ან ქმრის სიკვდილი. რჯულით შეუღლებულებს, ჭეშმარიტ ცოლ-ქმარს მხოლოდ სიკვდილი თუ დააშორებს ერთმანეთისაგან. ასეთ შემთხვევაში ქრისტიანული ზნეობა დასაშვებად თვლის ქალის ხელახლა გათხოვებას ან კაცის მიერ ახალი ცოლის შერთვას. მათ ქორწინებას რჯულის სრული დაცვით, ზნეობა ამართლებს. „გათხოვილი ქალი ქმრის სიცოცხლეში მასთან შეკრულია რჯულით, ხოლო თუ ქმარი მოკვდა განთავისუფლდება ცოლქმრობის რჯულისაგან“ (რომ. 7,2) და მას უფლება აქვს სხვას გაჰყვეს ცოლად.

ყველა სხვა შემთხვევაში ცოლქმრის გაყრა ზნეობრივად საძრახისია. უფალი ბრძანებს: „ცოლი ნუ გაეყრება ქმარს“ (1 კორ. 7,11). ასევე ქმარსაც ეკრძალება ცოლთან გაყრა. „ცოლიანი ხარ? ნუ ეძებს ცოლთან გაყრას. ცოლგანაშვები ხარ? ნუ ეძებ ცოლს“ (ეფერ. 7,27). ამ ზნეობრივი ნორმის დამრღვევმა, ქალი იქნება თუ კაცი, უნდა შეასრულოს დამატებითი მოთხოვნა: „თუ გაეყრება აღარ გათხოვდეს,

ანდა შეურიგდეს ქმარს და ნურც ქმარი მიატოვებს ცოლს“ (1 კორ. 7,11).

ის ვინც არ შეასრულებს უფლის ამ ზნეობრივ განაწესს, ჩადის ცოდვას. აღნიშნულთან ერთად უნდა ითქვას, რომ ქალისა და კაცის ოჯახური ერთობის დაშლის მეორე, ამჯერად უკვე არასაპატიო მიზეზი - ღალატია. ცოლისა თუ ქმრის მხრიდან ღალატი უდიდესი ცოდვაა. ქრისტიანული ზნეობა ვერ უთავსდება მას, როგორც მძიმე ცოდვას, რომლისთვისაც მოღალატეს პასუხი მოეკითხება უფლის მიერ. ერთწყვილიანი, ანუ მონოგამიური ოჯახის ერთგული ქრისტიანული ზნეობის მიხედვით უბიწოა „ერთი ცოლის ქმარი (ტიმ. 3,2) და „ერთი ქმრის ცოლი“ (ტიტ. 1,6). სამწუხაროდ არის შემთხვევა, როცა მშობლები ხდებიან შვილების გაყრის მიზეზი. სახარებაში წერია, რომ მშობელმა შეიძლება ურჩიოს სიძეს, მაგრამ მის ოჯახში ჩარევის და უფროსობის უფლება არ აქვს. აქედან გამომდინარე ნათელია, რომ ქრისტიანული ზნეობა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ცოლქმრულ ურთიერთობას, მეუღლეთა ურთიერთ სიყვარულსა და ურთიერთ პატივისცემას, რაც პირველყოვლისა შვილების მაღალზნეობრივი აღზრდის აუცილებელი პირობაა. მხოლოდ ასეთ ოჯახში აღიზრდებიან ქრისტეს რწმენის სულისკვეთებით, კეთილი და სათნო, მოყვასის მოყვარულნი და გულმოწყალე შვილები, რომლებიც თავისმხრივ და თავის დროზე ასევე მაღალზნეობრივი და ქრისტიანული მრწამსის მშობლები გახდებიან.

ქრისტიანული ზნეობისათვის დაუშვებელია სქესობრივი თავაშვებულობა. იგი ჰგმობს სიძვას და მოითხოვს, რომ „სიძვის თავიდან ასაცილებლად ყველა კაცს თავისი ცოლი ჰყავდეს და ყველა ქალს - თავისი ქმარი“ (1 კორ. 7,2), კრძალავს მეძავის ცოლად შერთვასაც. „ვინც მეძავს შეერთვის, მისი ერთხორცი ხდება“ (1 კორ. 6,16). ქრისტიანული ზნეობა სქესობრივ გარყვნილებას იმდენად

მძიმე ცოდვად მიიჩნევს, რომ სხვა ქალთან ტრფიალის უბრალოდ გააზრებისთვის, ვისაც ეს აზრად მოუვა, თავის თავს მრუშთან აიგივებს, „ხოლო მე გეუბნებით თქვენ: ყველამ, ვინც ნდომით შეხედა ქალს, უკვე იმრუშა მასთან საკუთარ გულში“ (მათ. 5,28). ღმერთი ადამიანებს ქცევა-მოქმედების ზნეობრივ კანონებს იმიტომ უდგენს, რომ მათ კეთილყონ თავიანთი ცხოვრება, მაგრამ თვით ადამიანებს ეკრძალებათ ღმერთის საქმიანობაში ჩარევა. ისინი დაისჯებიან თუ დაარღვევენ ღვთის მიერ დადგენილ მოთხოვნებს.

ქრისტიანული ზნეობის მიერ დაუშვებლად და დანაშაულებრივ მოქმედებად ითვლება კაცის კვლა, თუნდაც შემთხვევით და წინასწარ განუზრახველად მოხდეს იგი. ასეთი ადამიანები იმსახურებენ ზნეობრივ გაკიცხვასა და საზოგადოებისგან ჩამოშორებას. საგულისხმოა ისიც, რომ ქრისტიანული ზნეობა გმობს ადამიანისთვის შეურაცხყოფას სიტყვიერი გზით. ბოროტი სიტყვა არანაკლები მომაკვდინებელი ძალით მოქმედებს ადამიანზე, ვიდრე ბოროტი მოქმედება. საღმდლო წიგნში არის მოთხოვნა: „ნურავითარი უგვანი სიტყვა ნუ დასცდება თქვენს ბაგეს, არამედ მხოლოდ კეთილი“ (ეფერ. 4,22). „ყოველი სიმწარე და რისხვა, ყვირილი და ლანძღვა-გინება, ყოველი ბოროტებითურთ შორს იყოს თგვენგან“ (ეფერ. 4,29). ენით ადამიანის შეჩვენება - ესაა „აღვირახსნილი ბოროტება, სავსე მომაკვდინებელი გესლით“ (იაკ. 3,8), მაგრამ ბილწ და ბოროტ მესიტყვეებს უნდა დაუპირისპიროთ არა ბოროტი სიტყვები, არამედ ქრისტიანული შეგონება, კეთილი საქმეები. „ასე ინება ღმერთმა, რომ კეთილი საქმით ავუკრათ პირი უგნურ კაცთა უმეცრებას“ (1 პეტრ. 2,15).

ქრისტიანული რელიგიური ზნეობის ერთ-ერთი მთავარი წანამძღვარი ადამიანის თავისუფალი ნების აღიარებაა. ღმერთის უმაღლესი წესებისა და მისადმი სიყვარულის პარალელურად იგი ცნობს ადამიანის თავისუფალი ნების არსებობას. შესაბამისად იგი

უნდა აღიარებდეს იმ ნებასაც, რომ ყოველი ადამიანი თავისი სიცოცხლის აზრსა და ცხოვრების მიზანს სწორედ მისი კეთილდღეობის, ბედნიერებისა და ნეტარების მიღწევაში ხედავს. თუმცა, სხვა საკითხია, რამდენად აღწევს ამას ყველა ადამიანი, ან რამდენად პასუხობს იგი რელიგიური, კერძოდ ქრისტიანული რელიგიის ზნეობრივ მოთხოვნებს.

მართალია ქრისტიანული ზნეობა გმობს ადამიანის სიმდიდრით გატაცებას; მისი დაუოკებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასაკენ ლტოლვას, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი უკრძალავდეს ადამიანს აქტიურობას, ამართლებდეს მის უმოქმედობასა და მოუწოდებდეს უქნარობისა და სიზარმაცისაკენ. პირიქით, იგი მოუწოდებს ადამიანებს დაიკმაყოფილონ ეს მოთხოვნილებანი არა სხვისი ქონების წაგლეჯის გზით, არამედ საკუთარი შრომითი ძალისხმევით. ქველმოქმედებას, დახმარების გაწევას გაჭირვებულებისადმი მაშინ აქვს აზრი და გამართლება, თუ „სენია რასაცა გასცემ“, თუ საკუთარი შრომით შექმნილ ღირებულებებს უწილადებ არამქონე და ხელმოკლე ადამიანებს. – „მპარავი ნულარ მოიპარავს, არამედ უმაღ იშრომოს და კეთილი საქმე აკეთოს თავისი ხელით, რათა შეეძლოს გაიკითხოს გაჭირვებული“ (ეფეს. 4,28). პავლე მოციქული ამას უქადაგებდა თავის მოწაფეებს თავისი პირადი გამოცდილების საფუძველზე.

ქრისტიანული ზნეობრივი რჩევა-დარიგებანი არის არა ამკრძალავი ნორმები და ბრძანებები, არამედ მხოლოდ მოწოდებები სრულყოფილი ცხოვრებისაკენ, რომლის მაგალითსაც თვითონ მაცხოვარი იძლევა. ქრისტიანულ ზნეობაში ათ მცნებასთან ერთად არის ცხრა ნეტარება, სადაც მაცხოვარი მოუწოდებს ადამიანებს იყვნენ ქრისტიანულად მორჩილნი, სამართლიანი, მოწყალენი, გულით წმინდანი, მშვიდნი, მომთმენი და ა.შ. ამ პრინციპების დაცვა

ქრისტიანული ზნეობის მიხედვით, იძლევა იმის მაგალითს, რომ ადამიანი მოთმინებით შეხვდეს საიქიო ცხოვრებას.

მართალია ქრისტიანული რელიგია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს სააქაო, ამქვეყნიურ ცხოვრებას და მას უდიდეს ბედნიერებად თვლის, მაგრამ სიკვდილი ხომ გარდაუვალია. ამიტომ უდიდესი სიბრძნეა, რომ ადამიანი მოთმინებით შეხვდეს მას. ამასთან, ქრისტიანული რელიგიის მიხედვით ადამიანის ხსნის იმედი მდგომარეობს საიქიო მარადიულ ცხოვრებაში, მის სამოთხეში მოხვედრაში. სამოთხე მარადიული ნეტარების, ბედნიერებისა და კეთილდღეობის სამეფოა, მაგრამ იქ რომ მოხვდეს ადამიანმა სააქაო ცხოვრებაში უნდა შეასრულოს არა მხოლოდ ის პრინციპები, რასაც მოითხოვს ათი მცნება, არამედ იცხოვროს ყველა რელიგიური პრინციპების სრული დაცვით, რითაც ადამიანი აღწევს სააქაო ზნეობრივ სრულყოფას და საიქიო სამოთხე ნეტარების მიღწევის შესაძლებლობას, რაც ყველა რელიგიური ზნეობის არსებითი ქვაკუთხედი.

### 3. რელიგიისა და ხელოვნების ურთიერთობა

რელიგიისა და სულიერი კულტურის სხვა ფორმათა ურთიერთმიმართების პრობლემათა შორის რელიგიისა და ხელოვნების ურთიერთობის პრობლემა ერთერთი მნიშვნელოვანი საკითხია. რელიგიასა და ხელოვნებას, როგორც ადამიანის ცნობიერების განსაკუთრებულ ფორმებს მრავალი ასპექტი აკავშირებს ერთმანეთთან. ამ ასპექტთა შორის მთავარია: რა როლი მიუძღვის რელიგიას ხელოვნების წარმოშობა-განვითარებაში და პირიქით, როგორია ხელოვნების როლი რელიგიური მრწამსის ამაღლება-განმტკიცების საქმეში. ამ კითხვებზე პასუხი ერთნაირად საინტერესოა რელიგიის ისტორიის მკვლევართათვის, ხელოვნების ისტორიის მკვლევართათვის, რელიგიათმცოდნეებისა და ღვთისმეტყველებისათვის.

რელიგიის ისტორიის ზოგიერთ მკვლევართა აზრით და საერთოდ ღვთისმეტყველებაში არსებული ზოგიერთი თეორიის მიხედვით ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმოშობას, არსებობასა და განვითარებას განსაზღვრავს რელიგია, რელიგიური გრძნობა და ღვთაებრივი შთაგონება. ამ საკითხთან დაკავშირებით ყველაზე მკაფიო აზრი გამოთქვა გერმანელმა იდეალისტმა ფილოსოფოსმა ჰეგელმა: - „რელიგია, როგორც ჭეშმარიტების საყოველთაო შეგნება, ხელოვნებისათვის არსებით წანამძღვარს შეადგენს“. ამავე დროს, ჰეგელის მიხედვით ხელოვნება და რელიგია ერთ საერთო ნიადაგზე დაყენებული, ხოლო ფილოსოფია, რომლის ერთადერთ საგნად აღებულია ღმერთი, ჰეგელისთვის რაციონალურ თეოლოგიას წარმოადგენს. ამრიგად ხელოვნებას, რელიგიას და ფილოსოფიას თავისი შინაარსის მხრივ, ჰეგელის მიხედვით ერთი საფუძველი აქვთ და მათ შორის არსებითი განსხვავება არ არსებობს.

რელიგიათმვოდნეებისა და ღვთისმეტყველებისათვის ძნელი არ უნდა იყოს იმის დანახვა, რომ რელიგიას უშუალოდ კავშირი აქვს ადამიანის ესთეტიკურ გრძნობასთან, რამდენადაც მშვენიერების განცდა პირველყოვლისა შეუძლია იმას, ვინც ღვთიური ნიჭით არის დაჯილდოვებული და რაც რწმენაში გამოიხატება. ამ გაგებით მშვენიერების განცდაც ყველაზე მეტად იმას შეუძლია, ვისშიც ყველაზე მეტად მძლავრობს ღვთაებრივი სული და ღვთისადმი რწმენა. მითუმეტეს თუ ეს მშვენიერების საგნებია რელიგიური შინაარსის საგნები და მოვლენები, იქნება ეს არქიტექტურული ძეგლები თუ სხვა საეკლესიო საგნები. აქედან გამომდინარე უნდა ვირწმუნოთ, რომ რელიგიისა და ხელოვნების ურთიერთობა უძველესი დროიდან მოდის, რამდენადაც ადამიანი იმთავითვე ყოველ მის მოქმედებას უკავშირებდა მითოლოგიურ სიუჟეტებს. რელიგია კი თავის მხრივ ამ სიუჟეტებზე აგებდა თავის სათაყვანო კულტებს. აღნიშნულიდან გამომდინარე სარწმუნოა ის აზრი, რომ რელიგიამ ბევრად შეუწყო ხელი ხელოვნების განვითარებას. ყველაზე უძველესი რელიგიის ფორმებიც კი ქმნიდნენ ხელოვნების გარკვეულ ფორმებს, რათა ამით გამოეხატათ, რომ მათ შორის მიზანი სხვადასხვაა. შესაბამისად ისინი სულიერი კულტურის სხვადასხვა ფორმას წარმოადგენენ და ამდენად, მათი გაიგივება და ერთმანეთზე დაყვანა არ შეიძლება. მიუხედავად ყოველივე აღნიშნულისა ვერ უარვყოფთ იმ ისტორიულ სინამდვილესაც, რომ რელიგია საუკუნეების მანძილზე აძლევდა ხელოვნებას მიმართულებას. იგი ხელოვნებას იყენებდა იმის მიხედვით, თუ რა პრობლემა დგებოდა მის წინაშე. ასე ჩამოყალიბდა სხვადასხვა ეპოქაში ხელოვნების სხვადასხვა დარგები: ხუროთმოძღვრება, ფერწერა, მუსიკა, ლიტერატურა და სხვა.

ხელოვნება ადამიანური ფანტაზიის გარეშე წარმოუდგენელია. ამასთან, ეს ფანტაზია აუცილებლად დაკავშირებულია მის

ემოციონალურ მხარესთან, რომლის გარეშეც რელიგია არ არსებობს. ამიტომ, რელიგიამ შეიმუშავა ადამიანური ემოციური ზემოქმედების სისტემა, რომლის გარეშეც შეუძლებელია, როგორც ხელოვნება, ისე რელიგია.

ცხადია, ადამიანებზე ემოციური ზემოქმედებისათვის განკუთვნილ სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ხელოვნების გამოყენებას. ხელოვნების ნაწარმოები ადამიანში იწვევს ამაღლებულის გრძნობას, სიხარულს, თვით ნაწარმოებისადმი მოკრძალებასა და თაყვანისცემას და ა.შ. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა საეკლესიო ორგანიზაცია-დაწესებულებანი. ეკლესია-მონასტრების მაღალი არქიტექტურული ანსამბლები, იქ შექმნილი მყუდრო განწყობა, მაღალჭერიანი, ფრესკებით მოხატული კედლები, მოჩუქურთმებული ტრაპეზი, საკმეველის საამო სუნი და ის სიტუაცია რაც იქ იქმნება უსათუაოდ ახდენს ზემოქმედებას ადამიანზე და უნერგავს მას მოკრძალებისა და თაყვანისცემის გრძნობას იმისადმი, ვისადმიც მიძღვნილია ყოველივე ეს.

ხელოვნების როლი ადამიანთა ემოციური ზემოქმედების საქმეში და მისი გამოყენება რელიგიის სამსახურში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მონოთეისტურ რელიგიებში. ამ მხრივ განსაკუთრებით ქრისტიანობამ გამოიჩინა თავი. მართალია, საუკუნეების განმავლობაში, განსაკუთრებით კი შუა საუკუნეებში, ხელოვანს ეკრძალებოდა არარელიგიურ თემაზე ნაწარმოების შექმნა და ხელოვნებიდან იდევნებოდა ასკეტიზმი, მაგრამ რელიგიურ თემებზე შესრულებულ ხელოვნების ნიმუშებში მაინც გვხვდება ბევრი მაღალმხატვრული, კლასიკური ხასიათის ნიმუში. ამისი მაგალითია თუნდაც მე-10 საუკუნეში შექმნილი „იშხნის ჯვარცმა“, რომელიც ამ დროისათვის, როგორც ასეთი შინაარსით შექმნილი ძეგლი, უნიკალურია. ამ ძეგლის მსგავსი, ქრისტეს გამოსახულებით,

მე-10 საუკუნით დათარიღებული, არც ბიზანტიურ და არც დასავლეთევროპულ ხელოვნებაში არ გვაქვს.

რელიგიურ თემაზეა შესრულებული ლეონარდო დავინჩის „საიდუმლო სერობა“. მიქელანჯელოს უკვდავი ქმნილებების უმრავლესობაც რელიგიურ თემებზეა შესრულებული და ამასთან ისინი ზოგადსაკაცობრიო იდეებსაც გამოხატავენ. ასეთია: „მამალმერთის“ სახე, რომელიც გამოხატავს მოაზროვნისა და შემოქმედის სახეს.

გამოჩენილი ქართველი მხატვრის ლადო გუდიაშვილის მიერ შესრულებული ქაშუეთის ეკლესიის ტრაპეზის ზემოთ მოხატულობა „საიდუმლო სერობა“ რელიგიურ თემასთან ერთად ასახავს ამქვეყნიური ცხოვრების მშვენიერებასაც, ადამიანური აზრების სიდიადესაც.

ცნობილია, რომ ისტორიულად რელიგია და ხელოვნება არამარტო ზემოქმედებდნენ ერთმანეთზე, არამედ ავსებდნენ კიდევ ერთმანეთს. ამის უამრავ მაგალითთა შორისაა საეკლესიო ხელოვნება, რომელიც მხატვრული საშუალებით გადმოგვცემს რელიგიურ იდეებს, რომელშიც შედის საკულტო მოქმედებაც. საეკლესიო ხელოვნება თავისთავად არის თაყვანისცემის ობიექტი. მასში არის, როგორც ესთეტიკური, ისე საკულტო ფუნქცია, რისი დასტურიცაა უამრავი სასწაულმოქმედი ხატებისა და საკულტო საგნების არსებობა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული იმის დადასტურებაა, რომ რელიგიასა და ხელოვნებას შორის არსებული მჭიდრო კავშირი უდავო ფაქტია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიის ისტორიაში იყო საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი, რის შესახებ ზემოთაც მივუთითეთ, როცა მიმდინარეობდა დავა იმის შესახებ, რომ შეიძლება თუ არა რელიგიური წმინდა საგნების მხატვრული გამოსახვა. ამასთან დაკავშირებით ქრისტიანობაში მე-8 საუკუნიდან

დაიქყეს დავა, რაც ისტორიაში ცნობილია ხატმებრძოლების სახელით, მაგრამ საბოლოოდ ეს დავა დამთავრდა იმ ძალების გამარჯვებით, რომელთაც დასაშვებად მიაჩნდათ ღმერთისა და წმინდანების დახატვა და შესაბამისად მათი ხატების კულტი. სწორედ საკითხისადმი ასეთმა რეალისტურმა მიდგომამ განაპირობა ის ფაქტი, რომ ქრისტიანულ სამყაროში საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწია ფერწერის განვითარებამ და შესაბამისად განმტკიცდა რელიგიისა და ხელოვნების კავშირიც. ნათელია, რომ რელიგია ხელს უწყობს ხელოვნების განვითარებას, მისი სხვადასხვა ფორმის მაღალ დონეზე წარმართვას, ხოლო ხელოვნება კი თავის მხრივ განამტკიცებს რელიგიური მრწამსის ღვთაებრივ შინაარსსა და მის ჭეშმარიტებას. რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სინამდვილის შეუცნობელ ძალებთან ადამიანის დამოკიდებულების განმტკიცებას.

## 4. რელიგია და კულტურა

რელიგიისა და ხელოვნების ურთიერთმიმართების ანალიზმა დაგვანახა თუ რა უდიდესია რელიგიის როლი ხელოვნების წარმოშობასა და განვითარებაში. ასევე, განუსაზღვრელია რელიგიის როლი ზოგადად კულტურის ჩამოყალიბებაში და საერთოდ კაცობრიობის განვითარების ისტორიაში. კაცობრიობის ისტორია, მისი სულიერი კულტურის ჩამოყალიბება, იწყება რელიგიის წარმოშობითა და მისი ურთიერთმიმართებით მთელ გარემომცველ სინამდვილისადმი, რაც კაცობრიობის სულიერი კულტურის განვითარების საფუძველია.

გამომდინარე აღნიშნულიდან რელიგიისა და კულტურის ურთიერთმიმართება განუყრელადაა დაკავშირებული საერთოდ ადამიანის არსებობის ისტორიასთან. ადამიანი, როგორც სოციალური არსება, მხოლოდ მას შემდეგ იწყებს ცხოვრებას, რაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა და ეზიარა კულტურას. ადამიანი მხოლოდ კულტურითაა ადამიანი, სხვა მხრივ იგი ვერ იქნებოდა ადამიანი, რადგან კულტურის არ არსებობა გამორიცხავს საერთოდ ადამიანად არსებობას. იგივე ითქმის რელიგიაზეც. რელიგია, როგორც სულიერი კულტურის ფორმა, დამახასიათებელია მხოლოდ ადამიანისათვის. ამდენად, კულტურა და რელიგია ადამიანის განუყრელი ნიშნებია და შესაბამისად ისინი, როგორც ერთი და იგივე არსების არსებითი ნიშნები, თავადაც განუყრელნი არიან ერთმანეთისგან. აქედან გამომდინარე კაცობრიობის მთელი ისტორია, მისი წარსული, აწმყო და მომავალი განუყრელადაა დაკავშირებული სულიერი კულტურის ამ განსაკუთრებულ ფორმებთან, რომელთა არსებითი შინაარსიც არის რწმენა ადამიანური თავისუფლებისა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელი ხდება სულიერი კულტურის ამ ორი ფორმის, როგორც როლი და მნიშვნელობა საკაცობრიო აზროვნების ისტორიაში, ისე მათი სოციალური ფუნქცია ადამიანთა ცხოვრებაში.

რელიგია, როგორც სულიერი კულტურის განსაკუთრებული ფორმა, ადამიანის არსებაში წარმოიშვა ღვთაებრივი გამოვლენის სახით, რომელიც დაკავშირებულია სინამდვილის შეუცნობელ ძალებთან ადამიანის დამოკიდებულებასა და იმ წარმოდგენებთან, რაც ადამიანს გააჩნია სინამდვილის შესახებ. რელიგია ყოველთვის ასრულებდა იმ იდეოლოგიის როლს, რომელიც გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას ადამიანთა სულიერი კულტურისა და იმ მოვლენების მიმართ, რომელიც იწვევდა საზოგადოებრივ პროგრესს. იგი მხარს უჭერდა, როგორც მოწინავე საზოგადოებრივი აზრის, ისე კულტურის აყვავება-განვითარებას.

კულტურა სულიერ და მატერიალურ ღირებულებათა ერთობლიობაა, რომელიც კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ადამიანის შრომის შედეგად, მისი მიზანდასახული მოქმედებით იქმნებოდა. და, რამდენადაც ისტორიის მანძილზე იცვლებოდა თვით ამ კულტურის შექმნისა და მისი მოხმარების პროცესი, შესაბამისად იცვლებოდა მისი წარმოების წესიც, რის შედეგადაც სხვადასხვა ეპოქას სხვადასხვა კულტურა იძლეოდა. მიუხედავად ამისა, რელიგიას ყოველთვის მისი ადგილი ეკავა კულტურათა ამ ცვლილებაში. რელიგია არის უმაღლესი ნიჭის გამოვლენა. ამიტომ, რომ კაცობრიობის ისტორიის მანძილზე შექმნილი უამრავი საუკეთესო კულტურული ღირებულებანი რელიგიური ხასიათისაა. რელიგია კი ცხადია, რწმენასთანაა დაკავშირებული, ხოლო რწმენით შექმნილი ღირებულებანი ყოველთვის საუკეთესოა, მითუმეტეს კულტურული ღირებულებანი. სწორედ რწმენისა და შემოქმედების ნიჭის, დაუღალავი შრომისა და მოღვაწეობის შედეგია ის უამრავი

სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლი, რომელთა უდიდესი ნაწილი რელიგიური შინაარსისაა და საკაცობრიო კულტურის საგანძურს ამდიდრებს, იქნება იგი ეგვიპტური პირამიდები თუ ბაბილონური ტაძრები; ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები თუ ხითხურობის ნიმუშები; ფერწერული ქმნილებები თუ ლიტერატურული შედეგები.

საერთო საკაცობრიო სულიერი კულტურის აღორძინების საქმეში რელიგიის როლისა და მნიშვნელობის დახასიათების დროს, ცალკე უნდა აღინიშნოს ქრისტიანული რელიგიის განსაკუთრებული მნიშვნელობა საერთოდ და ქართული ეროვნული კულტურის საქმეში კერძოდ.

ქრისტიანობა, როგორც ვიცით, არის მოძღვრება ერთ არსებისა - სამების მთლიანობასა და განუყოფლობაზე. ქრისტიანული რწმენის თანახმად ერთარსების თითოეული წევრი განუყოფელი და სრული პირია. პიროვნული სიმრავლე არსებობს ზეციურ უხორცო გონიერ ძალათა შორის. ასევე პიროვნებაა, როგორც მოძღვრება ყოველი ერისა თუ სახელმწიფოსთვის, იყო სწორედ პიროვნულობის, ავტონომიურობისა და თვითმყოფადობის გამოკვეთის პირობა. მან, როგორც უნივერსალურმა რელიგიამ და არა რომელიმე კერძო ეროვნულმა მოძღვრებამ, ხელი შეუწყო ყოველი ერის ეროვნული კულტურის დაფუძნებასა და წინსვლას. ხელი შეუწყო პირველ რიგში მათი მშობლიური ენისა და ლიტერატურის განვითარებას, მღვდელმსახურების სახალხო საქმედ ქცევას, საღმრთო და სამღვდლო წიგნების თარგმნასა და ბევრ შემთხვევაში ახლის შექმნას, ძველი კულტურის ახალი უნივერსალური კულტურის დონეზე აყვანით, მსოფლიო კულტურის რანგში ამაღლებას და სხვ.

ქრისტიანობამ განსაკუთრებული როლი შეასრულა ქართული ეროვნული კულტურის დამკვიდრება-განვითარების საქმეში.

ქართული კულტურა ქრისტიანული კულტურაა, იგი ემყარება სახარებისეულ რწმენას, რომელიც მხოლოდ ეკლესიის წიაღშია სრულყოფილად დაცული. ეს რწმენა ერთმანეთთან აკავშირებს ქართულ საერო და სასულიერო კულტურას, რამდენადაც ორივე მათგანი ემყარება ერთ საერთო საფუძველს - ქრისტეს მოძღვრებას. მათ შორის სხვაობა მხოლოდ იმაშია, რომ სასულიერო კულტურის ძეგლი თუ საგანი, პირდაპირ გადმოგვცემს სათქმელს, ხოლო საერო კი - მხატვრული სახეების მეშვეობით, გადატანითი მეთოდით გვაწვდის მის არსს, მიუხედავად ამ განსხვავებულობისა მათი საფუძველი, როგორც ითქვა, მაინც ერთია, ესაა ქრისტიანული მოძღვრება. ესაა ის საფუძველი, რომელიც მრავალმხრივ განაპირობებს ქართული კულტურის სულიერ მხარეს.

სწორედ ქრისტიანული რელიგიის წყალობით დაიმკვიდრა ქართველმა ერმა თავისი საპატიო ადგილი მსოფლიოს განვითარებულ ერთა შორის. ქართული ქრისტიანული კულტურაა ის ამოსავალი პრინციპი, რათქმაუნდა სხვა ფაქტორებთან ერთად, რომლის გამოც იჩენს ცივილიზებული მსოფლიო ჩვენდამი ინტერესს. ეს ინტერესი პირველ ყოვლისა მიმართულია საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისადმი, მისი ისტორიისა და ტრადიციებისადმი, მისი კულტურისა და სულიერი მემკვიდრეობისადმი.

მას შემდეგ, რაც საქართველოში (იბერიაში) ქრისტიანობა მე-4 საუკუნის ნახევრიდან (337 წ.), მეფე მირიანის მიერ ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა, განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიექცა ქრისტიანული ტაძრების მშენებლობას. საერთოდ, არქიტექტურულ ძეგლთა სიმრავლე, საცხოვრებელი დარბაზების, ციხე-კოშკების, საკულტო თუ არასაკულტო დანიშნულების ძეგლების არსებობა აშკარად მიგვანიშნებს, რომ საქართველოში მშენებლობის კულტურა მაღალი იყო. ამ მხრივ აღსანიშნავია მე-5 საუკუნის ბაზილიკური

ტიპის არქიტექტურული ძეგლი, ბოლნისის სიონი, რომელმაც შემოგვინახა უძველესი წარწერა, რომ ძეგლის მშენებლობა დაწყებულია 462 წ. და დამთავრებულია 477 წელს. ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერა წინ უსწრებს მოზაიკურ წარწერას პალესტინაში. მე-6 საუკუნიდან იწყება ცენტრალურ-გუმბათოვან ნაგებობათა გავრცელება. ამ ტიპის ბრწყინვალე ნიმუშია მცხეთის „დიდი ჯვარი“ - ჯვრის მონასტერი. ტაძარი აშენდა მე-6 საუკუნის ბოლოსა და მე-7 საუკუნის დასაწყისში. უკვე ამ პერიოდიდან ჩამოყალიბდა ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრის ტიპი, რომელსაც ახასიათებს მონუმენტურობა, დიდი სივრცე და ზუსტი პროპორციები.

ქართული ქრისტიანული კულტურისა და არქიტექტურული ხელოვნების ნიმუშია მე-10 საუკუნეში აგებული ოშკის ტაძარი ტაოკლარჯეთის ტერიტორიაზე. ასევე, ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლებია: ბაგრატის ტაძარი - ქუთაისში, რომელიც ახალი აღდგენილია და ამშვენებს ქუთაისსაც და მთელ საქართველოს. სვეტიცხოველი - მცხეთაში და ალავერდი - კახეთში. თითოეული ამ ტაძრის არქიტექტურული და მხატვრული გადაწყვეტა მიუთითებს, როგორც ხუროთმოძღვართა მაღალ პროფესიონალურ კულტურაზე, ისე ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ეროვნული სულიერების მაღალ დონეზე, რომელიც თავისებურ მიმართულებას აძლევს ამ ეროვნულ და სულიერ კულტურას.

ქართულმა ეროვნულმა კულტურამ და ქრისტიანულმა რელიგიამ შექმნა და ერის სულიერების სამსახურში ჩააყენა უბრწყინვალესი საეკლესიო საგალობლები, ქართული მონუმენტური ფრესკები, ჯვარხატების, როგორც ლითონზე, ისე ოქროზე და ვერცხლზე ჭედურობის უნიკალური ნიმუშები, სადაც გამოვლინდა ქართველი ერის შემოქმედებითი ნიჭი და ეროვნული კულტურის მაღალი ქრისტიანული სულიერება.

ასევე, ქრისტიანული რელიგიური რწმენისა და მაღალი ეროვნული სულიერების გამოხატულებაა ის კულტურული კავშირთა ერთობანი, რაც ქართველებს ჰქონდათ საზღვარგარეთის ქვეყნების ქრისტიანული კულტურის ცენტრებთან. ამ ურთიერთობის მიზანი, სხვა საკითხებთან ერთად იყო საერო თუ სასულიერო ხასიათის დამწერლობა. კულტურის ცენტრებს წარმოადგენდა მონასტრებთან არსებული სკოლები, სადაც ძირითადად წარმოებდა წიგნების გადაწერა. ამგვარი სკოლები არსებობდა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთაც - პალესტინაში, სირიაში, ათონზე და სხვ. მაგრამ გადამწყვეტი როლი ქართული წიგნის და საერთოდ ქართული კულტურის ისტორიაში მაინც ქვეყნის შიგნით არსებულ ეკლესია-მონასტრებს ეკუთვნის. ამ მხრივ განსაკუთრებულია გელათის მონასტრის მნიშვნელობა.

გელათის მონასტერი საუკუნეების მანძილზე წარმოადგენდა ერთერთ უდიდეს კულტურულ ცენტრს, რომელმაც შთამომავლობას შემოუნახა კულტურისა და ხელოვნების უთვალავი ფასდაუდებელი ძეგლი. მონასტერი დააარსა დავით აღმაშენებელმა 1106 წელს, ხოლო მისი მშენებლობა, თვით დავითი ანდერძით დაასრულა მისმა მემკვიდრემ დემეტრე I-მა, რომლის მეფობის პერიოდშიც 1130 წელს ტაძარი აკურთხეს.

დავით აღმაშენებლის სურვილი იყო სამშობლოში ისეთი კულტურული ცენტრის შექმნა, რომელიც თავისი მნიშვნელობით გაუტოლდებოდა ბიზანტიისა და წინააღმოსავლურ საგანმანათლებლო კერებს. ამიტომ მან გელათის მონასტერთან ჩამოაყალიბა აკადემია, სადაც მიიზიდა: საუკეთესო ქართველი მეცნიერები, ღვთისმეტყველები, ფილოსოფოსები და იურისტები, რომელთაგან ბევრი საზღვარგარეთის სხვადასხვა მონასტერსა და მანგანის აკადემიაში მოღვაწეობდა. მათ შორის იყვნენ გამოჩენილი მეცნიერები იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი. გელათის აკადემია დიდ

საგანმანათლებლო-კულტურულ საქმიანობას ეწეოდა და თანამედროვეებში „მეორე ათენისა“ და „ახალი ელადის“ სახელი მოიხვეჭა.

გელათი საქართველოს იმ მცირე ანსამბლთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელმაც არა მარტო სრულად შემოინახა თავისი ძირითადი ნაგებობანი, არამედ შთამომავლობას დაუტოვა ზუსტი ცნობები მათი დაარსებისა და მნიშვნელობის შესახებ. გელათი გამოირჩევა საერთო დაგეგმარებისა და არქიტექტურული ნაგებობების ღრმა გააზრებით. გელათის მონასტერმა შემოგვინახა სხვადასხვა ეპოქის (XII-XIII სს.) ქართული მონუმენტური მხატვრობის შესანიშნავი ნიმუშები. ეს მოხატულობანი ამშვენებენ, როგორც ღვთისმშობლის ტაძარს, ასევე წმინდა გიორგის ეკლესიებს.

მთავარი ტაძრის მოხატულობაში მოცემულია მონუმენტური ფერწერის ორი სახე: მოზაიკა და ფრესკა. მოზაიკით მოხატვა ჯერ კიდევ დავით მეფის სიცოცხლეში დაიწყო; შემდგომში ტაძრის მოხატულობა არაერთხელ განახლებულა და შევსებულა. გელათის მოზაიკაზე, რომელიც ტაძრის აფსიდის კონქს ამშვენებს, გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმითურთ და მათ წინამდგომარე მთავარანგელოზები - მიქაელი და გაბრიელი. ღვთისმშობელი გამოხატულია „ნიკოპეის“ ტიპში - ის დგას კვარცხლბეკზე, ორივე ხელით უჭირავს ყრმა, რომელსაც მარჯვენა ხელით აკურთხებს, მარცხენათი კი დახვეული გრაგნილი უჭირავს.

ნახატის კეთილშობილება და სახეების დახვეწილი ინდივიდუალუზაცია გვაძლევს შესაძლებლობას გელათის მოზაიკა მივაკუთვნოთ იმ ეპოქის განთქმულ ქმნილებათა რიცხვს. თავისი ზოგადი მხატვრული პრინციპებით იგი მიეკუთვნება ბიზანტიურ ხელოვნებას, იმავე დროს, მთელი რიგი სტილისტიკური ნიშან-თვისებებით, განსხვავდება საკუთრივ კონსტანტინოპოლის სკოლის ქმნილებათაგან და მჭიდროდ უკავშირდება ქართული ხელოვნებისა და

კულტურის ძეგლებს. ეს კი აფიქრებინებს ზოგიერთ მეცნიერს, რომ მოზაიკა შექმნა ბიზანტიაში განსწავლულმა ქართველმა მხატვარმა, რასაც შეიძლება ჩვენც დავეთანხმოთ. ისტორიული ფაქტია, რომ ამ პერიოდის საქართველოში არცთუ იშვიათად ქართველები განათლებას იღებდნენ ევროპის მოწინავე კულტურისა და განათლების ქვეყნებში. ამისი შედეგი უნდა იყოს სწორედ ის, რომ საქართველო აქტიურად მონაწილეობდა მსოფლიო საეკლესიო კრებების ჩატარება-ორგანიზებაში. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ამ ეპოქაში კავკასიაში ახალი ძალით იფეთქა ბრძოლამ ფალკედონიტ-დიოფიზიტებსა და ანტიქალმედონიტ-მონოფიზიტებს შორის; არც ის, რომ გელათის აკადემია წარმოადგენდა ერთერთ უდიდეს კულტურულ ცენტრს, რომელშიც იწრთობოდა თეორიული იარაღი მიმართული მონოფიზიტების წინააღმდეგ; არც ის, რომ გელათის აკადემიაში იმ დროს შექმნილი იყო დიდი ნომოკანონის ახალი თარგმანი, სადაც შეკრებილია მსოფლიო საეკლესიო კრებების ლიტერატურული მასალები. ისევე, როგორც შემთხვევითი არაა, რომ დავით აღმაშენებლის მეფობისას საქართველოში შედგა ორი საეკლესიო კრება (1103 და 1123-1125 წლებში), რომლებზეც ამა თუ იმ ფორმით საქართველოსა და სომხეთის ეკლესიების „ორთოდოქსალობის“ საკითხები წყდებოდა. ორივე კრება მეფე დავითის თავმჯდომარეობით და აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობდა. ამგვარად, გელათის კრებების გამოსახულებათა კავშირი რეალურ ისტორიულ სინამდვილესთან, მათი საზეიმო და ამავე დროს პოლიტიკურ-აგიტაციური მნიშვნელობა ეჭვს არ იწვევს. ეჭვს არ იწვევს ის გარემოებაც, რომ გელათის სამონასტრო კომპლექსი, რომელიც საუკუნეების მანძილზე ასრულებდა და დღესაც ასრულებს, როგორც რელიგიური, ისე კულტურული სულიერების მომნიჭებელი ძალის როლს, რითაც გზას უხსნის ყველა ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ ეკლესიას ემსახუროს ქართველი ერის რელიგიური და კულტურული სულიერების საქმეს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული იმისი ნათელი დადასტურებაა, რომ რელიგია კაცობრიობის ისტორიაში საერთოდ, ხოლო მართლმადიდებლური ქრისტიანობა ქართველი ერის ცხოვრებაში, გადამწყვეტ როლს ასრულებდა და ასრულებს, როგორც სულიერი კულტურის განსაკუთრებული ფორმა. მთელი ქართული ეროვნული სული, მისი კულტურა და ტრადიციები, წეს-ჩვეულებანი და ცხოვრების ნებისმიერი მხარე დაკავშირებული იყო და არის ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ რელიგიასთან, რომელიც კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე პირობებში, როგორც კულტურის უმაღლესი გამოვლენა და მისი დამცველი ძალა. ამისი დასტურია სამების ტაძარი თბილისში და ის უამრავი ეკლესია-მინასტრები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, რომელთა არამარტო ძველის აღდგენა ხდება, არამედ ახალიც უამრავი შენდება.

## 5. სახელმწიფო პოლიტიკა და სამართალი რელიგიისა და ეკლესიისადმი მიმართებაში

რელიგიისა და ეკლესიისადმი სახელმწიფო პოლიტიკისა და სამართლის დამოკიდებულება ერთ-ერთი აქტუალური საკითხი იყო და არის კაცობრიობის მთელი იმ ისტორიის მანძილზე, რაც არსებობს სახელმწიფო და მისი სტრუქტურები. ცნობილია, რომ სულიერი კულტურის ისეთ ფორმებს, როგორცაა: პოლიტიკა, სამართალი, ზნეობა და სხვა, ძირითადად განსაზღვრავს საზოგადოების ბაზისი, მისი ეკონომიკა. პოლიტიკა და ეკონომიკა საზოგადოებრივი ცხოვრების ის სფეროებია, რომლებიც ძირეულად განსაზღვრავენ საზოგადოების არსებობის ბაზისს საერთოდ, ხოლო პოლიტიკა და სამართალი ის განსაკუთრებული ქცევის წესებია, რომლებიც ყველაზე ახლოს დგანან ამ ბაზისთან და რომელთა გარეშეც სახელმწიფოს, როგორც სისტემის არსებობა შეუძლებელია.

რაც შეეხება რელიგიას, იგი სულიერი კულტურის ის განსაკუთრებული ფორმაა, რომელიც ემყარება ღმერთის რწმენას. ისიც ცნობილია, რომ სულიერი კულტურის ფორმებს შორის, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, არსებობს გარკვეული ურთიერთმიმართება. აქედან გამომდინარე, რელიგიის მიმართება სახელმწიფო პოლიტიკასა და სამართალთან მაინც განსაკუთრებულია. ეს განსაკუთრებულობა იმაში გამოიხატება, რომ პოლიტიკისა და სამართლის წარმოშობა სახელმწიფოს წარმოშობასთანაა დაკავშირებული, ხოლო სახელმწიფო, კლასთა შორის არსებული შეურიგებელი წინააღმდეგობის შედეგია. სახელმწიფოს წარმოშობა, თავისი პოლიტიკით, სამართალთან ერთად ესაა ძალა, რომელთა მეშვეობით ეკონომიკურად გაბატონებული მდგომარების მქონე კლასი პოლიტიკურადაც გაბატონებული ხდება.

პირველყოფილი თემური წყობილების პირობებში, როცა არ იყო სახელმწიფო და არ არსებობდა არც სამართლის ნორმები, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარე რეგულირებული იყო დაუწერელი ჩვეულებებით, ადამიანთა ქცევის მრავალრიცხოვანი წესებით, რომლებსაც მტკიცედ იცავდნენ გვარის, ტომის წევრები. ამ წესებში თავისი ადგილი ეკავა რელიგიურ რწმენებსა და მათ შესაბამის მოქმედების წესებსაც. ეს წესჩვეულებანი გამოხატავდა საზოგადოების ყველა წევრის ინტერესებს და სრული თანასწორობის პრინციპებზე იყო დამკვიდრებული. ხოლო ახალ ისტორიულ ვითარებაში ანტაგონისტური კლასების წარმოშობის შემდეგ ისინი, ცხადია ვეღარ მოაწესრიგებდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებას. საჭირო იყო ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობებისათვის შესაბამისი სამართლის წესები, რომლებსაც ამ შემთხვევაში სავალდებულო ძალა ენიჭებოდა და რომელთა დანიშნულებაც ფაქტიურად გაბატონებული კლასების დაცვა იყო.

აღნიშნულის გათვალისწინებით გაბატონებულმა ძალებმა კარგად გამოიყენეს ის ფაქტის, რომ რელიგია არის ადამიანთა ინტერესების გამომხატველი და იგი საკუთარი ინტერესების სამსახურში ჩააყენეს. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა თუნდაც იმისი ცოდნა, რომ სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ არსებულ უამრავ თეორიათა შორის ერთ-ერთი უძველესი თეორია არის თეოლოგიური ანუ თეოკრატიული თეორია, რომელიც სახელმწიფოს წარმოშობის ღვთაებრიობას აღიარებს. ეს თეორია გაბატონებული კლასების მიერ იქნა შექმნილი, ჯერ კიდევ პირველი სახელმწიფოების ჩამოყალიბების შემდეგ ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში: ეგვიპტეში, ბაბილონში, ინდოეთში, ჩინეთში და სხვა, სადაც სახელმწიფო არსებობდა თავისებური მონარქიის - აღმოსავლური დესპოტიის ფორმით და სადაც ერთი პირის, დესპოტის ხელში იყო თავმოყრილი მთელი სახელმწიფო ძალაუფლება. ასე მაგალითად, ძველ ეგვიპტეში

გაბატონებული კლასის მიერ მომხდარი ყველა მოვლენა მიეწერებოდა ღმერთის ნებას, ხოლო ფარაონები გამოცხადებული იყვნენ მიწიერ ღმერთებად, რომლებსაც მფარველობენ ზეციური ღმერთები. ძველი ბაბილონის მეფე ჰამურაბის კანონების შესავალსა და დასკვნაში ხაზგასმულია, რომ მისი სამეფო ხელისუფლება ღვთაებრივი წარმოშობისაა და ამიტომ ღმერთები მფარველობენ და ეხმარებიან მას სახელმწიფოს მართვა-გამგებლობაში. მსგავსი იდეა არის გატარებული ე.წ. მანუს კანონებშიც (ძველი ინდოეთი, ძვ.წ. III საუკუნე). ისტორიული ფაქტია ის რეალობაც, რომ ათასწლეულების განმავლობაში კაცობრიობის ისტორია რელიგიური შეუწყნარებლობითა და დევნით იყო გამორჩეული. მსოფლიოს ყველა დიდ რელიგიურ კულტურაში გამოხატულია ადამიანების ცხოვრებაში სამართლიანი წესრიგის იდეალები, მაგრამ არა სუბიექტური ბუნებითი უფლებების სახით. თვით დასავლეთშიც რელიგიური უფლებები ძალზე გვიან და მტკივნეული გზის გავლის შედეგად აღმოცენდა იმ ტრადიციიდან, რომელიც გაცილებით იოლად აღიარებდა სხვა ტიპის უფლებებს. თანამედროვე პირობებში ძალზე არაორიგინალურად, - ბანალურად ჟღერს იოანე პავლე II-ის ბოლოდროინდელი განცხადება იმის შესახებ, რომ რელიგიური უფლებები სხვა ყველა უფლების "ქვაკუთხედს" რარმოადგენს. თუმცა, თუ ისტორიას გადავავლებთ თვალს, რელიგიური უფლებები ყველაზე გვიან ჩამოყალიბდა; რელიგიის თავისუფლება ყველაზე რთული წარმოსადგენი და მითუმეტეს ცხოვრებაში ყველაზე რთულად გასატარებელი ფასეულობა აღმოჩნდა. კათოლიკური ეკლესია უკანასკნელი ქრისტიანული აღმსარებლობა იყო, რომელმაც რელიგიის თავისუფლების პრინციპი აღიარა. 1965 წელს გამოქვეყნდა ვატიკანის რელიგიის თავისუფლების დეკლარაცია, რომლის მიხედვითაც: ვატიკანის II მსლოფლიო კრება აცხადებს, რომ ადამიანს აქვს უფლება რელიგიის თავისუფლებაზე. აღნიშნული თავისუფლება გულისხმობს, რომ ყველა ადამიანი თავისუფალია ინდივიდების,

სოციალური ჯგუფების ან სხვა ნებისმიერი ადამიანური ძალის მხრიდან იძულებისგან. რელიგიის თავისუფლების საფუძველი ადამიანის პიროვნების ღირსებაშია, რადგანაც ეს ღირსება უფლის გაცხადებული სიტყვის თანახმადაა ცნობილი.

ეს დეკლარაცია ყოვლისმომცველად შეეხება იძულებას არამარტო სახელმწიფოს, არამედ „ნებისმიერი ადამიანური ძალის“ მხრიდან. იგი რელიგიის თავისუფლებას განსაზღვრავს, როგორც „უფლებას“, რომელიც დამახასიათებელია ადამიანის პიროვნებისთვის და შესაბამისად ადამიანის ბუნებრივ უფლებას წარმოადგენს. დეკლარაცია ასევე შეიცავდა ერთგვარ მინიშნებას, რომ მასში გამოხატული მტკიცებანი წარმოადგენდა რელიგიური რეპრესიის იმ პოლიტიკის რადიკალურ უარყოფას, რასაც კათოლიკური ეკლესია საუკუნეების მანძილზე ახორციელებდა. ამაზე მიგვანიშნებს დეკლარაციაში წარმოდგენილი წინადადება, რომ ადამიანური ღირსება „მხოლოდ მრავალსაუკუნოებრივ გამოცდილებათა შედეგად იქნა უკეთ გააზრებული და შეცნობილი“. ამ დასკვნის ჭეშმარიტებას და უტყუარობას ადასტურებს ლატერანის IV საეკლესიო კრების მიერ 1215 წელს გამოქვეყნებული დეკრეტი<sup>2</sup>, სადაც ვკითხულობთ: „ჩვენ ეკლესიიდან განვკვეთთ და ანათემას გადავცემთ მწვალებლობის ყოველ გამოვლინებას, რომელიც წმინდა, ორთოდოქსული და კათოლიკური მრწამსის წინააღმდეგ გაილაშქრებს. საერო ხელისუფლებამაც, თუ სურთ, რომ მორწმუნეთა შორის იქნან განხილულნი, უნდა დადონ ფიცი, რომ კეთილსინდისიერად იბრძოლებენ და ყველაფერს იღონებენ, რაც ძალუძთ, ეკლესიის მიერ მითითებული ერეტიკოსების გასანადგურებლად.

აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა თუ როგორ მივიდა დასავლური სამყარო ერეტიკოსთა ანუ მწვალებელთა რეპრესიიდან რელიგიის თავისუფლების დეკლარირებამდე. ამ ორი სხვადასხვა შინაარსის ტექსტის წინაშე მდგომი სკეპტიკოსი განაცხადებდა, რომ

რელიგია ერთს ნიშნავდა 1215 წელს და მეორე - 1965 წელს. ამ საკითხის უფრო კეთილგანწყობილ მიმომხილველს შეეძლო აღენიშნა, რომ ეკლესიამ მოახდინა სწავლებათა მოდიფიცირება დროთა განმავლობაში, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ "საუკუნოებრივმა გამოცდილებამ", როგორც ვატიკანის კრებამ აღნიშნა, გამოიწვია ეკლესიის ფუძემდებლის მიერ გაცხადებული ჭეშმარიტებათა ახლებურად და ღრმად გააზრება, ვინაიდან "განვითარდა ადამიანის მორალური შეგნება"<sup>3</sup>.

მე-13 საუკუნეში ფრანცისკანული თეოლოგიის პიეტრო ოლივას მასწავლებელმა წმინდანად შერაცხულმა ბონავენტურემ ბიბლიაში ჭეშმარიტების „მარცვლების“ შესახებ, რომლებიც ნელ-ნელა მომწიფდა ადამიანთა შეგნებაში, აღნიშნა, რომ „არ შეიძლება ბიბლია და მისი საიდუმლოებანი იქნას გაგებული მანამ, სანამ ისტორიის მიმდინარეობის გააზრება არ მოხდება“. ასეთი ავტორები ამტკიცებდნენ, ღვთის წყალობა კი არ იცვლება, არამედ ბიბლიის გააზრებაა დამოკიდებული საუკუნეებზე. ხშირად გააზრება შეიძლება მიღწეული იქნას მხოლოდ სპეციფიკურ, უმეტესად სასტიკ ისტორიულ გამოცდილებათა საკუთარ თავზე გადატანით. ეს კი განსაკუთრებით მართლდება, როდესაც რელიგიური უფლებების საკითხს ვეხებით.

ისტორიულად, ქრისტიანობის დასაწყისიდანვე მის ტრადიციაში არსებობდა ელემენტები, რომლებსაც შეეძლო მივეყვანეთ როგორც რელიგიის თავისუფლების დოქტრინამდე, ისე დევნის პრაქტიკამდე. იესო თავის მხრივ, საყოველთაო სიყვარულის მოძღვრებას ქადაგებდა: „ხოლო მე გეუბნებით თქვენ, გიყვარდეთ თქვენი მტერნი; დალოცეთ თქვენი მაწყევარნი; კეთილი უყავით თქვენს მოძულეთ და ილოცეთ თქვენსავ მდევნელთა და შეურაცხმყოფელთათვის“.

სახელმწიფოსა და რელიგიას შორის ურთიერთობა განსაკუთრებულ სახეს იღებს მას შემდეგ, რაც ეკლესია სახელმწიფო

სტრუქტურაში იღებს მმართველის ფუნქციას და რაც შუა საუკუნეების ეკლესიის მიმდევრებმა ხელი შეუწყვეს თანამედროვე რელიგიის თავისუფლების წარმოქმნას. ხელი შეუწყვეს საერო მმართველთა კონტროლის სფეროდან ეკლესიის გამოსვლას. აღნიშნულის შედეგად შუა საუკუნეებში არასოდეს ყოფილა აბსოლუტური ხელისუფლების განმახორციელებელი ერთადერთი სამთავრობო იერარქია, არამედ ყოველთვის არსებობდა ორი - ეკლესია და სახელმწიფო, რომელთა შორის ხშირი იყო დაპირისპირება, ერთმანეთის ძალაუფლების შეზღუდვა და ა.შ. ხელისუფლების ამგვარი დუალიზმი კაცობრიობის ისტორიის საკმაოდ უჩვეულო მოვლენა იყო. საგვარეულო ტომზე ან ქალაქ-სახელმწიფოზე დიდ საზოგადოებებში ყველაზე გავრცელებულ მმართველობის ფორმად განსაზღვრული ტიპის თეოკრატიული აბსოლუტიზმი გვევლინებოდა. ეგვიპტის ფარაონები, პერუს ინკები და იაპონიის იმპერატორები - ყოველი მათგანი ღვთიურ ფიგურად განიხილებოდა. საზოგადოების წესრიგი კოსმოსში არსებული საღვთო წესრიგის ნაწილად მიიჩნეოდა, მმართველი უზრუნველყოფდა აუცილებელ კავშირს სამოთხესა და დედამიწას შორის. ასეთ საზოგადოებებში რელიგიის თავისუფლება წარმოსახვაშიც კი არ არსებობდა.

ამ მოკლე ისტორიული ექსკურსის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რელიგია უძველესი დროიდან იყო განუყრელ კავშირში სახელმწიფო პოლიტიკასა და სამართალთან, გამოხატავდა სახელმწიფო ხელისუფალთა ინტერესებს. მას ყოველი სახელმწიფოს მმართველი ძალები მისთვის დასაყრდენ ძალად იყენებდა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ იქნებოდა დაცული თვით მოცემულ სახელმწიფოში. ამიტომაც, რომ ნებისმიერ სახელმწიფოში რელიგია და მისი მეთაური ეკლესია დგას როგორც ამ სახელმწიფოს ინტერესების გამომხატველი, მისი პოლიტიკისა და სამართლის დამცველი. ამ მხრივ ალბათ ყველა თანამედროვე

რელიგიური მიმდინარეობა და შესაბამისად მისი მეთაური ეკლესია, თავის თავს მიიჩნევდა ყველაზე დემოკრატიულ და ყველაზე სამართლებრივ დამცველად იმ სახელმწიფო წყობილებისა, რომელშიც თვითონ მოქმედებს, მაგრამ ჩვენ აქ ყველა რელიგიურ ფორმასა და მის საეკლესიო ორგანიზაციის დამოკიდებულებას სახელმწიფოსთან ცალცალკე ვერ განვიხილავთ. შევჩერდეთ მოკლედ მხოლოდ ქრისტიანობაზე.

ქრისტიანობა, როგორც ცნობილია, წარმოიშვა იუდეაში, რომის იმპერიაში, როგორც ჩაგრულთა და მონათა ხსნის იმედი. იგი იმთავითვე განსხვავებულად ვითარდებოდა, რამდენადაც აღმოცენდა უცხო კულტურაში - რომისა და საბერძნეთის განვითარებულ კლასიკურ ცივილიზაციაში. ქრისტიანად გახდომა და ამ რელიგიის წევრად თავის შენარჩუნება თავისუფალი პერსონალური არჩევანის საკითხი იყო, ხშირად თავგანწირვასთან დაკავშირებული. მისი წარმოშობა იყო, როგორც ჩაგრულთა და მონათა ფენების ხსნის იმედი. მაგრამ მის წინააღმდეგ იმთავითვე აღსდგა რომის იმპერიაში არსებული ყველა რელიგია და მათი მაღიარებელი ხალხები, განსაკუთრებით კი გაბატონებული ძალები. ადრეული ქრისტიანებისთვის იმპერატორი იყო არა ღვთიური მმართველი, არამედ ჭეშმარიტი მრწამსის მდევნელი. დაძაბულობა რომაულ სახელმწიფოსა და ქრისტიანულ ეკლესიას შორის თვით იესო ქრისტეს სიტყვებშია გამოხატული: „მიაგეთ კეისარს კეისრისა, ხოლო ღმერთს ღმრთისა“<sup>9</sup>. ქრისტიანობის განვითარების ყველა პერიოდში ამ მრწამსის მიმდევრებში ყოველთვის იხსენებდნენ პეტრეს სიტყვებს: „მორჩილება ღვთის მიმართ“<sup>10</sup>. კონსტანტინეს ტაქტიკისა და ქრისტიანული იმპერიის დაფუძნების შემდგომ გარკვეული დროის განმავლობაში იყო შესაძლებლობა, რომ ეკლესიას რელიგიურ საქმეთა დეპარტამენტის სახე მიეღო იმპერიულ თეოკრატიულ ეკლესია-სახელმწიფოში. თუმცა აღმოსავლეთში იმპერიული ძალა-

უფლების დამხობის შედეგად ეკლესიის დამოუკიდებელი როლი მტკიცედ იქნა გაცხადებული იმდროინდელი პაპის, გელასიუსის (492-496 წწ) მიერ: „ამქვეყნად არის ორი ხელისუფლება“; რელიგიური აზროვნებისა და საქმიანობის მთელი რიგი საკითხები, გელასიუსის მტკიცებით, არ ექცეოდა საერო მმართველის კონტროლის სფეროში.

იმპერიისა და პაპების საკითხი ახალი სიმწვავით წარმოიშვა გერმანიაში ოტონთა დინასტიის მმართველობის პერიოდში. მეფეები ამტკიცებდნენ, რომ ამ ქვეყანაზე ღვთის ნაცვლებს ისინი წარმოადგენდნენ და თავისთავზე აიღეს ეკლესიათა კონტროლი. ისინი რეგულარულად ნიშნავდნენ ეპისკოპოსებს თავიანთ სამფლობელოებში. როდესაც გერმანიის იმპერატორი იტალიაში შეიჭრა და რომის ოკუპაცია მოახდინა, მან ისევე დაიწყო პაპების შერჩევა და დანიშვნა, როგორც გერმანიის ეპისკოპოსებისა.

ბრძოლა პაპებსა და მეფეებს შორის მომდევნო საუკუნეებშიც გაგრძელდა. მეფეთა თეოკრატიული პრეტენზიების დადგომის შემდეგ პაპები ხშირად ცდილობდნენ თეოკრატიული ფუნქციის მითვისებას. მათი თეოკრატიული მოთხოვნების უმაღლეს წერტილად შეიძლება ჩაითვალოს ბონიფაციუს VII-ის განცხადება: „აუცილებელია ყველა დაექვემდებაროს რომის პაპს“. თუმცა ბონიფაციუსი საფრანგეთის მეფესთან ბრძოლაში დამარცხდა.

ეკლესიისა და სახელმწიფო ხელისუფლების მუდმივი ურთიერთქმედების, გადაკვეთისა და დაპირისპირების მიუხედავად, ვერცერთი მხარე თავისი მოთხოვნების სრულ რეალიზებას ვერ ახდენდა. შედეგად ეკლესიისა და სახელმწიფოს დუალიზმი შუა საუკუნეების დასავლურ საზოგადოებაში უცვლელ მოვლენად დარჩა. უკვე შუა საუკუნეების ბოლოსკენ კათოლიკე მეფეებმა მიაღწიეს ფართო კონტროლს საეკლესიო დანიშვნებზე; თუმცა რეფორმაციის ეპოქაში სამეფო ტიტულია ღვთიური ჩამომავლობის თეორია დაგმო

პროტესტის ახლებური ფორმების გამოყენებით, რამაც საბოლოო ჯამში დასავლური ცივილიზაცია რელიგიური უფლებების მხარდაჭერის ახალ გზებამდე მიიყვანა.

მიუხედავად ქრისტიანობის წინააღმდეგ რომის იმპერიის მესვეურთა და გაბატონებული კლასების ბრძოლისა, ქრისტიანობამ მაინც გაიმარჯვა და იგი მე-4 საუკუნის პირველ მესამედში რომის იმპერიის ოფიციალური რელიგია გახდა. რამ განაპირობა საბოლოო ჯამში ქრისტიანობის ეს წარმატება? ისტორიული ფაქტია, რომ რომის იმპერიაში მანამდე არსებული რელიგიები -წარმართული სარწმუნოება, რომაული პოლითეიზმი, ებრაული იუდაიზმი, სპარსული მითრაიზმი, სხვადასხვა აღმოსავლური კულტები, თუ რომის სახელმწიფო ოფიციალური სარწმუნოება, - რომის იმპერატორთა თაყვანისცემა და სხვა, ვერ გამოხატავდნენ ხალხის ინტერესებს, ისინი ერთმანეთის მტრობაში იყვნენ და ყოველი მათგანი ვიწრო სოციალური ჯგუფების თარგზე იყო გამოჭრილი. ქრისტიანობა კი ასახავდა არა ვინმეს კერძო ინტერესებს, არამედ საერთოდ ჩაგრულთა და ტვირთმძიმეთა სოციალურ პროტესტს იმ ჩაგვრის გამო, რასაც დაბალი ფენები განიცდიდნენ რომის იმპერიაში.

ქრისტიანთა პირველი თემები თანასწორობის საწყისებზე იყო აგებული. თემის შემადგენლობაში ძირითადად მონები და თავისუფალი ღარიბები შედიოდნენ. ამ თემებისათვის დამახასიათებელი იყო კოლექტიური საკუთრება, რასაც ადასტურებს „ახალი აღთქმის“ წმინდა მოციქულთა საქმენი. ქრისტიანობას მისი მოძღვრების გამო ებრძოდა, როგორც გაბატონებული ძალები, ისე ზემოთ ჩამოთვლილი რელიგიები. მაგრამ გადის დრო და ქრისტიანობა განუწყვეტლივ ვრცელდება. იგი თანდათან სულ უფრო მეტ მომხრეებს იძენს, რასაც შედეგად მოჰყვა ისიც, რომ უკვე მე-4 საუკუნის შუა პერიოდიდან ქრისტიანულ თემებში ეპისკოპოსის თანამდებობა შემოიღეს. თავდაპირველად ეპისკოპოსებს (ბერძნული

სიტყვაა და ნიშნავს ზედამხედველს) საყოველთაო არჩევნებით ირჩევდნენ, ხოლო შემდეგ იქმნება ცენტრალიზებული ოგანიზაცია ეკლესიის სახით, რომელსაც ეპისკოპოსი უდგას სათავეში.

შუა საუკუნეების ეპოქაში, ქრისტიანობის გათიშვის შემდეგ ევროპაში ტრადიციად დამკვიდრდა კათოლიკური ეკლესიის მეთაურის რომის პაპის უზენაესობა, რომლის მიხედვითაც ორივე ხელისუფლება, როგორც საეკლესიო, ისე სახელმწიფო, ემორჩილებოდა რომის პაპს, ხოლო საერო ხელისუფლების ხელმძღვანელნი ითვლებოდნენ პაპის ვასალებად. იმპერატორთა კურთხევა ხდებოდა პაპის ნებართვით, ასევე, პაპს ჰქონდა უფლება საჭირო შემთხვევაში ტახტიდან გადაეგდო მისთვის არასასურველი იმპერატორი. პაპები იყვნენ სრულუფლებიანი მონარქები, რომელთაც ჰქონდათ თავისი შეუზღუდავი უფლებები, როგორც ხელისუფლებაზე, ისე სამხედრო ძალებზე. ეკლესია თავისი სტრუქტურით მჭიდროდ დაუკავშირდა ფეოდალური საზოგადოების სახელმწიფოებრივ და სოციალურ სისტემას. ფეოდალურ საზოგადოებაში საეკლესიო მრევლი იყო არა მარტო რელიგიური, არამედ ამავე დროს სოციალური უჯრედიც. რიგით მორწმუნეთათვის ეკლესია არა მარტო საეკლესიო წესების შესრულების ადგილს, არამედ პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერესსაც წარმოადგენდა. ეკლესია იყო ფეოდალური საზოგადოების იდეოლოგიური ცენტრი. ამიტომ ანტიფეოდალური მიმდინარეობანი რელიგიურ ხასიათს ღებულობდნენ (სექტანტობა, მწვალებლობა და სხვ.). ფეოდალიზმის პერიოდში ერთიანი კათოლიკური ეკლესია დაიყო რამოდენიმე რელიგიურ მიმდინარეობად. დროთა განმავლობაში მას შემდეგ, რაც რეფორმაციამ გაიმარჯვა, არსებული დოქტრინა მხოლოდ იმ ქვეყნებში რჩება და ისიც ხელშეკრულების სახით, სადაც კათოლიკური თემი არსებობს. თუმცა, ძირითადად კათოლიკურ ქვეყნებში მაინც მოქმედებს რეფორმაციის ცნობილი პრინციპი - „ვისია ხელისუფლება, მისია რელიგია“. ეს

პრინციპი გულისხმობდა განსხვავებული რწმენის მიმდევართა დევნას, რისი მაგალითებიც უამრავია ძირითად კათოლიკურ ქვეყნებში.

კაპიტალიზმის ეპოქაში მდგომარეობა შეიცვალა. კაპიტალიზმის მთელ რიგ ქვეყნებში ეკლესია გამოეყო სახელმწიფოს, აღმოცენდა რელიგიური პლურალიზმი, რის შედეგადაც სხვადასხვა რელიგიები თანასწორუფლებიანი ხდება.

ბურჟუაზიამ წარმოშობის დღიდანვე დღის წესრიგში დააყენა სინდისის თავისუფლების პრინციპი, რაც რწმენის თავისუფლებას ნიშნავდა. ყველა სახელმწიფოს მისთვის მისაღები პირობები ჰქონდა კონსტიტუციაში დაფიქსირებული, რაც გამოხატავდა ამ სახელმწიფოს დამოკიდებულებას რელიგიისა და ეკლესიისადმი. ამ პირობების მიხედვით აღიარებული იქნა რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება, რაც თავისი შინაარსით გულისხმობს იმის თავისუფლებას, რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება თვითონ განსაზღვროს ამა თუ იმ რელიგიისადმი მისი დამოკიდებულება. აღიაროს რომელი რელიგიაც უნდა ის, ან არცერთი. ამ პრინციპის მიხედვით დაუშვებელია ადამიანის დევნა იმის გამო, რომ მან აღიარა, ან არ აღიარა ესა თუ ის რელიგია. ამასთან, სინდისის თავისუფლება ისე არ უნდა იქნას გაგებული, რომ ყველამ აკეთოს ის, რაც მოესურვება. სინდისის თავისუფლება არ შეიძლება იყოს აბსოლუტური, რადგან იგივე სახელმწიფო კანონმდებლობით დასაშვებია რწმენის თავისუფლების შეზღუდვაც, თუ იგი ეწინააღმდეგება ერის კულტურისა და ეროვნული ცნობიერების უსაფრთხოებას, ხელყოფს ადამიანის ფიზიკურ და სულიერ სუვერენიტეტს და იწვევს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას. აღნიშნულის გათვალისწინებით სინდისის თავისუფლების პრინციპები უზრუნველყოფენ ადამიანთა თანასწორუფლებიანობას ცხოვრების ყველა სფეროში, განურჩევლად ეროვნულობისა და რელიგიური მრწამსისა.

რაც შეეხება მართლმადიდებლობას, იგი ზოგან ეროვნული რელიგიის სტატუსითაა დღემდე შემორჩენილი, ზოგან სახელმწიფო რელიგიის სტატუსს ატარებს (საბერძნეთი, ფინეთი), ზოგან გამოყოფილია სახელმწიფოსაგან და ზოგანაც რელიგიურ უმცირესობას წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებლობა სხვადასხვა სახელმწიფოებში, სხვადასხვა ხალხებთან და სხვადასხვა პირობებში, სხვადასხვა სტატუსით გვხვდება, მისი სარწმუნოებრივი მრწამსი მაინც ყველგან ერთია. იგი ყველა შემთხვევაში ეყრდნობა ქრისტეს მცნებებს, მოციქულთა მოძღვრებას და წმინდა კანონებს, რის გამოც „ბჭენი ჯოჯობეთისანი ვე ერეოდინ მას“ (მათე, 16,18).

უნდა აღინიშნოს, რომ მართლმადიდებლობა განსაკუთრებით სათუთად უდგება ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის პრობლემას. ამ საკითხში მართლმადიდებლობა ამოდის იმ პრინციპიდან, რომ ეკლესია იესო ქრისტეს მიერაა დაფუძნებული. სახელმწიფო ის ისტორიული პროცესია, რომელიც ადამიანთა ამქვეყნიური, მიწიერი კეთილდღეობისთვისაა მოწოდებული, ხოლო ეკლესია კი იბრძვის ადამიანის მარადიული გადარჩენისათვის. ამ მიზნების განხორციელებისათვის ეკლესიას და სახელმწიფოს გააჩნიათ სხვადასხვა მეთოდები და საშუალებანი. სახელმწიფოს შეუძლია მიმართოს იძულებით მეთოდს, მაშინ, როცა ეკლესია მთლიანად გამორიცხავს იძულებას. იგი ცდილობს ადამიანთა სულიერი და ზნეობრივი სრულყოფის გზით მიაღწიოს მატ გადარჩენას, მათ მარადიულ სასუფეველში დამკვიდრებას. მართლმადიდებლობის მთელი ისტორია სწორედ იმის მაგალითს წარმოადგენს, რომ იგი არასოდეს ძალადობას არ მიმართავს. იგი სამღვდლოებას უკრძალავს ძალადობის გამოვლენის რაიმე შემთხვევას. ამასვე აფრთხილებს ეკლესიის მსახრუთ მსოფლიო VII კრების მე-10 კანონი და მოციქულთა მე-6 და 81-ე კანონები ერთმანეთისაგან ყოფს

საეკლესიო და სახელმწიფო საქმეებს და ასწავლის, რომ ეკლესია საერო საქმე არაა. მაგრამ ეკლესიის წევრები ვალდებულნი არიან დაემორჩილონ, როგორც საეკლესიო, ისე სახელმწიფო კანონებს.

ქრისტიანობის ისტორიაში უამრავი ფაქტია ცნობილი თუ როგორ იდევნებოდა მართლმადიდებლობა სხვადასხვა ძალებისაგან, მაგრამ არასოდეს ყოფილა შემთხვევა მართლმადიდებლობას პოლიტიკური ძალადობისათვის ძალადობითვე ეპასუხოს. იგი ყოველთვის მოთმინებით იტანდა დევნა-შევიწროვებას და ყოველთვის ლოიალური დამოკიდებულებით იყო ნებისმიერი სახელმწიფო მმართველობის მიმართ. მისი საბრძოლო იარაღი ყოველთვის იყო და არის სულიერება, რითაც წინ მიუძღვის ადამიანებს ჭეშმარიტებისაკენ.

სინდისის თავისუფლების გარანტიას იძლევა რელიგიისა და ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსგან, მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ სახელმწიფო საერთოდ არ ინტერესდება რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობით. პირიქით, სახელმწიფო კანონის ფარგლებში იცავს რელიგიური ორგანიზაციების უფლებებს, ხელს უწყობს სხვადასხვა რწმენის რელიგიური ორგანიზაციების თანაარსებობის დამკვიდრებას. მაგრამ თვით რელიგიური ორგანიზაციები არ ერევიან სახელმწიფო ხელისუფალთა საქმიანობაში, პოლიტიკურ პარტიათა საქმიანობაში. რაც შეეხება კულტის მსახურთა უფლებებს, მათ შეუძლიათ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება, როგორც რიგით მოქალაქეს. უფლება აქვთ არჩეულნი იქნან ქვეყნის პოლიტიკურ და სახელმწიფო ორგანოებში, არა როგორც რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლები, არამედ როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ფიგურა.

სინდისი თავისუფლების პრინციპი არ გულისხმობს რამე პრივილეგიის მინიჭებას ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული რომელიმე რელიგიისადმი, თუნდაც ეს რელიგია იყოს ქვეყნის არსებითად

ტრადიციული და ძირითადი რელიგია. ამისი მაგალითია თვითონ საქართველო, სადაც ქვეყნის ისტორიის არსებითი და ტრადიციული სარწმუნოება არის მართლმადიდებლური ქრისტიანობა, რომლის ადგილი და მნიშვნელობა განუზომელია. მან საქართველოს ისტორიაში შეასრულა უდიდესი პროგრესული როლი, როგორც მისი სულიერების სფეროში, ისე ერის ფიზიკური გადარჩენის საქმეში. ამისი ოფიციალური განცხადება და სახელმწიფოს მიერ მისი კონსტიტუციური აღიარება სრულებითაც არ ეწინააღმდეგება სიდისის თავისუფლების საერთო პრინციპებს, მითუმეტეს როცა ქართველი ერი და ქართული სახელმწიფო ასე პატივს სცემს საქართველოში არსებულ არამართლმადიდებლურ რელიგიებს. ამის ნათელსაყოფად საქართველოს ისტორიაში უამრავი ფაქტის დასახელებაა შესაძლებელი.

მართალია, თანამედროვე მსოფლიოს ყველა ძირითადი რელიგია შეიცავს მოძღვრებას იმის შესახებ, რომ ყველა მათგანი გამობს რელიგიურ იძულებას და ერთმანეთის რელიგიური შეხედულებების უპატივცემულობას, მაგრამ ეს განსაკუთრებით მაინც ითქმის ქრისტიანობაზე, სადაც რელიგიური შემწყნარებლობა და რელიგიური უფლებების სიწმინდე შესაძლებელია ყველაზე გამოკვეთილად დავინახოთ განცხადებაში, რომ - "უფალმა თავის ხატად და მსგავსად შექმნა ადამიანი". ბიბლია ასევე აღიარებს და გამოხატავს შემწყნარებლურ იდეას უცხოელთა მიმართაც, როდესაც აცხადებს: - „თუ უცხოელი მოვა შენთან, ნურაფერს დაუშავებ, მიიღე როგორც შენი ნათესავი და შეიყვარე, როგორც თავი შენი, რადგან უცხონი ვიყავით ეგვიპტელთა მიწაზე, მე ვარ უფალი შენი“<sup>53</sup>.

რელიგიური შემწყნარებლობა და პატივისცემა რელიგიური უფლებებისადმი გვხვდება ბიბლიაში მოყვანილ უფლის მიერ ყველა ადამიანისადმი მოპყრობის მაგალითებში. ბიბლიის თანახმად ადამიანს თავისუფლების უნარი უფლისგან აქვს ბოძებული. ამასვე

ვხვდებით სხვადასხვა რელიგიების საღვთო წიგნებშიც, სადაც მოცემული არის შესაბამისი ეთიკის კოდექსები თავისი რელიგიური სწავლებებით: ეს იქნება ისლამი, ბუდიზმი, იუდაიზმი თუ ნებისმიერი სხვა რელიგიები. ჩვენთვის საინტერესოა მათი საერთო შინაარსი, რითაც თითოეული მათგანი გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ამ პრობლემებისადმი.

რაც შეეხება საკითხს რელიგიისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების შესახებ ზოგადად, უნდა ითქვას, რომ ადამიანის რელიგიურ უფლებათა აპოლოგია (დაცვა) უნდა მოხდეს საერო სახელმწიფოს კონცეფციაში. არსებობს, როგორც ისტორიული, ისე ფილოსოფიური კავშირი რელიგიურ უფლებებსა და საერო სახელმწიფოს შორის. საერო არის ის სახელმწიფო, სადაც ხელისუფლების ძალაუფლება შემოიფარგლება მხოლოდ სეკულარული (მხოლოდ საერო) გამგებლობით. სახელმწიფო თავისუფალია რელიგიის ან ეკლესიის ზეგავლენისაგან და პირიქით, რელიგია დამოუკიდებელია სახელმწიფო ან პოლიტიკური კონტროლისაგან. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს არ გააჩნია უფლება აიძულოს ინდივიდები შეუერთდნენ ეკლესიას ან აუკრძალოს მათ ეკლესიის დატოვება. სახელმწიფოს რელიგიისადმი დამოკიდებულება ბადებს კითხვებს იმასთან დაკავშირებით, თუ რა ტიპის დახმარების გაწევის უფლება აქვს სახელმწიფოს ეკლესიისათვის, ვიდრე განსაზღვრული ამა თუ იმ რელიგიისათვის აქტიურ ხელშეწყობაში გადაიზრდებოდეს მისი ქმედება.

სახელმწიფოს მხრიდან, განსაზღვრული რელიგიისადმი მხარდაჭერის დასაშვები დონე პირველ რიგში საგადასახადო საკითხებსა და ფინანსურ კონტრიბუციას, ასევე ეკლესიის შიგნით, საეკლესიო პერსონალზე, განსაკუთრებით სასულიერო პირებსა და ეკლესიის წინამძღვარზე სახელმწიფო კონტროლს მოიცავს.

სახელმწიფოს შეუძლია უშუალოდ პირდაპირი გზით აკრიფოს ეკლესიისათვის განკუთვნილი საეკლესიო გადასახადები მოცემული ეკლესიის წევრებისაგან. ამ მიზნის მისაღწევად სახელმწიფო უფლებამოსილია რელიგიის შეცვლის შემთხვევაში პიროვნებისაგან მოითხოვოს ინფორმირება ხსენებულის თაობაზე, რაც შესაძლოა განვიხილოთ, როგორც დარღვევა ადამიანის უფლებისა. სახელმწიფოს ასევე შეუძლია თვით ეკლესიას ან ეკლესიებს მიანიჭოს პირდაპირი გზით საეკლესიო გადასახადების გადახდის მოთხოვნის უფლება. ასევე, ნება დართოს მათ, გამოიყენონ გადახდის იძულების სასამართლო მექანიზმი. სახელმწიფო ასევე უფლებამოსილია შევიდეს ისეთი ტიპის გარიგებებში, რომლებიც გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს ერთ ან რამდენიმე ეკლესიას სხვა ეკლესიებისა თუ რელიგიების მიმართ.

სახელმწიფო პოლიტიკა და სამართალი სასულიერო პირთა და განსაზღვრული რელიგიური მიმდინარეობის მიმართ, ზოგადად რელიგიისა და ეკლესიისადმი მიმართებაში უფლებამოსილია გარკვეული გარემოებების არსებობის შემთხვევაში მაინც, მოითხოვოს სასულიერო პირისაგან განსაზღვრული ტიპის ქცევა, მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში კი - სამუშაოს დატოვება. მდგომარეობას განაპირობებს ის გარემოება, რომ სახელმწიფო აღჭურვილია უფლებით ჩაერიოს ეკლესიის, როგორც სახელმწიფო ორგანიზებაში, ისე რელიგიური მოთხოვნების დაწესების სფეროში. კერძოდ, სახელმწიფოს როლი გამოიხატება ეკლესიაში სამუშაოდ მიღებისა და გათავისუფლების პირობების დადგენაში, სადაც რელიგიის თავისუფლებისადმი მნიშვნელოვანი ყურადღების მიქცევა არააუცილებელია. თუმცა არსებობს გარკვეული ზღვარი, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო უფლებამოსილია განახორციელოს თავისი ძალაუფლება.

სახელმწიფოს როლი განსაკუთრებით შეზღუდულია არასამთავრობო რელიგიური ორგანიზაციების ლიდერთა ქმედებების რეგულირებაში, როცა სახელმწიფო ქმედებებზე რელიგიური (განსაკუთრებით არადაწესებულ ეკლესიათა) ლიდერების წინააღმდეგ შეზღუდვებშია დაწესებული. რელიგიური უმცირესობების, განსაკუთრებით იელოვას მოწმეთა (საბერძნეთის წინააღმდეგ), საქმეები ნათლად მეტყველებს იმ პოტენციურ პრობლემებზე, რომლებიც სახელმწიფოს გადამეტებული აქტივობამ შეიძლება გამოიწვიოს სხვათა ხარჯზე ერთი ეკლესიის ინტერესების მხარდაჭერისას, მაშინ, როცა ეკლესია ინარჩუნებს განსაზღვრული დონის ავტონომიას. სახელმწიფოს როლი შეიძლება დანახული იქნას პროზელიტიზმის (მისწრაფება თავის მოძღვრებაზე სხვების მოქცევის) საწინააღმდეგო კანონების მიღებაში, რომლებიც განსაკუთრებით მკაცრად იქნა გატარებული ცხოვრებაში იელოვას მოწმეების მიმართ. თუმცა არასოდეს ყოფილა გამოყენებული მართლმადიდებელი ეკლესიის საწინააღმდეგოდ.

ზემოთ საუბარი იყო ადამიანის უფლებაზე, შეინარჩუნოს რელიგია და რწმენა სახელმწიფოს მხრიდან უკანონო ჩარევის გარეშე. თუმცა რელიგიის თავისუფლების მნიშვნელოვან ასპექტს ასევე წარმოადგენს რელიგიისა და რწმენის შეცვლის უფლება. მიუხედავად იმისა, რომ რელიგიის შეცვლის თავისუფლება სერიოზული კამათის საგანი გახდა გაეროში, კონვენციის ტექსტში იგი არ იყო სადავო საკითხი. რელიგიისა და რწმენის შეცვლის თავისუფლება ყოველგვარი განხილვის გარეშე იქნა შეტანილი კონვენციის პროექტში, ხოლო შემდგომში კი საბოლოო დოკუმენტში.

რელიგიისა და რწმენის შეცვლის თავისუფლება დამახასიათებელი ფაქტორია ყველა სახელმწიფო წყობისა თუ ხელისუფლებისათვის. ერთადერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რამაც რელიგიისა და რწმენის შეცვლის თავისუფლება საკამათო შეიძლება გახადოს პროზელიტიზმთანაა დაკავშირებული. პროზელიტიზმი, თავის

მხრივ, რელიგიის მანიფესტაციას წარმოადგენს; ყოველ შემთხვევაში, ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება სასამართლოს მიერ გამოყენებული დიქტომიის (ორად გაყოფა, შემდეგ კიდევ ორ-ორად გაყოფა) საფუძველზე, თუმცა, ის ასევე მჭიდრო კავშირშია რელიგიის შეცვლის უფლებასთან. ეს ის სფეროა, სადაც სასამართლომ გონივრულად თანმიმდევრული მიდგომა შეიმუშავა რელიგიისა და რწმენის შეცვლის ფარგლების თაობაზე.

რელიგიისა და რწმენის შეცვლის თავისუფლებამ შესაძლებელი გახადა მისი გამოხატვის თავისებურებათა ჩვენება. რწმენის გამოხატვა შესაძლებელია სხვადასხვა ფორმით, ეს ფორმებია: „მარტო ან საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად“ და „საჯაროდ ან კერძოდ“. თუ რომელს აირჩევს აქედან მორწმუნე ეს დამოკიდებულია თვით მორწმუნის სურვილზე და იმ შესაძლებლობათა ქონაზე, რაც ეხება ორგანიზაციათა, დაწესებულებათა ან სხვა მუდმივმოქმედი ჯგუფების შექმნას. მართალია, ინდივიდებს აქვთ უფლება შეიკრიბონ ღვთისმსახურების ან რელიგიური რიტუალის ჩასატარებლად, მაგრამ ნათელი არ არის თუ რამდენად გულისხმობს ეს უფლება საჯაროდ, სხვებთან ერთად რელიგიისა და რწმენის გამოხატვის და ასევე გარკვეული რელიგიისა და რწმენის ინტერესების დასაცავად ორგანიზაციათა, დაწესებულებათა ან სხვა მუდმივმოქმედი ჯგუფების შექმნის შესაძლებლობის ქონას. სიტუაცია არსებითად იცვლება იმ სახელმწიფოებში, სადაც ერთმანეთისაგან განასხვავებენ აღიარებულ და არაღიარებულ რელიგიებს. არაღიარებულ რელიგიებს ეკრძალებათ რელიგიური საქმიანობა. ასეთ შემთხვევაში ზოგიერთ სახელმწიფოში შესაძლოა ხშირ შემთხვევაში მორწმუნეთათვის გარკვეულ საჭიროებას წარმოადგენდეს ორგანიზაციების დაფუძნება რელიგიისა და რწმენის გამოხატვის საკუთარი ინდივიდუალური უფლების განსახორციელებლად. ამგვარი ჯგუფების არსებობის საჭიროება იზრდება, თუ მიზანს წარმოადგენს

ღვთისმსახურების ჩატარებისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობების მშენებლობა და ფუნქციონირება, რელიგიური სარიტუალო ობიექტების შესყიდვაა დასახული.

რელიგიური გამოხატვის უფლება შეიძლება განხორციელდეს, როგორც აქტიურად, ისე პასიურადაც. მაგალითად, ღვთისმსახურების უფლება მოიცავს ადამიანის უფლებას, არ იქნას მისი ნების საწინააღმდეგოდ, იძულების წესით, ჩართული ღვთისმსახურებაში. პასიური უფლება რელიგიის მანიფესტაციაზე მხოლოდ საქმეთა მცირე რაოდენობაში იქნა ცნობილი დარღვეულად; თუმცა, არცერთ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია კონკრეტული შემთხვევის შესაბამისობას მოცემული მანიფესტაციების სახეებთან.

რელიგიისა და რწმენის მანიფესტაციის სახეთა შორის ყველაზე მწიკად განსასაზღვრად ითვლება ტერმინი „წეს-ჩვეულების დაცვა“. პოტენციურად ეს ტერმინი შეიძლება ძალზე ფართოდ იქნას განმარტებული, მათ შორის, გარკვეული რელიგიისა და რწმენის ყველა მოძღვრებათა და დირექტივათა ერთ ცნებაში თავმოყრის გზით. ამავე დროს, იგი შესაძლოა ძალიან ვიწროც იყოს, თუ კი მასში მოვიაზრებთ მხოლოდ უშუალოდ რელიგიური ტიპის საქმიანობას, რომელიც თავისი არსით ღვთისმსახურების იდენტურია. ამდენად, „წეს-ჩვეულების დაცვა“ ეს არის რელიგიისა და რწმენის მანიფესტაციის დაცვაზე საერთო მიდგომასა და ზემოთ განხილულ საქმეებს შორის შესაბამისობის პოვნა. ამ მხრივ საინტერესოა ეროუსმიტის საქმე, რომელიც ეხებოდა „წეს-ჩვეულების დაცვის“ იდეას და მისი განხილვისას შეიმუშავეს ტესტი, რომელიც ამ ტერმინის, როგორც რელიგიისა და რწმენის გამოხატვის ერთერთი სახის, რელიგიითა და რწმენით სტიმულირებულ და მოტივირებულ ქმედებათა ფართო წრიდან გამორჩევას ისახავდა მიზნად. ზოგადად იგი კარგი მაგალითია ტერმინ „წეს-ჩვეულებების დაცვით“ გამოწვეულ სირთულეთა ილუსტრირებისათვის.

რელიგიისადმი სახელმწიფო პოლიტიკისა და სამართლის დამოკიდებულების არსებითი მახასიათებელი აუცილებლობა არის ამ სახელმწიფოში არსებულ სხვადასხვა რელიგიურ მიმდინარეობათა არსებითი თანასწორობა და მათდამი ნეიტრალური დამოკიდებულება. ამ მიმართებით აუცილებელია და არსებითი მნიშვნელობა აქვს ზოგადი დანიშნულების და ნეიტრალური კანონების მოქმედებას. ეს კანონები მაშინ წამოიჭრება, როდესაც სახელმწიფო იღებს კანონმდებლობას, რომელიც ერთი შეხედვით, არც რელიგიურ საკითხებს შეეხება და არც რომელიმე რელიგიური ჯგუფის დისკრიმინაციად აღიქმება. თუმცა ზოგ შემთხვევაში წარმოსახვითი ნეიტრალურობა შეცდომაში შემყვანია და კანონი შესაძლებელია მიღებული იყოს გარკვეული რელიგიური ჯგუფის საქმიანობის შეზღუდვისათვის ან გამოყენებულ იქნას დისკრიმინაციული წესით. ეს კანონები ხშირად მხოლოდ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ ისინი ნეიტრალური და ზოგადი დანიშნულებისაა, თუმცა არც იმისი განსაზღვრაა შეუძლებელი, ხოლმე თუ არა ამგვარი კანონები რელიგიას და რწმენას. მიუხედავად ამისა, ხშირ შემთხვევაში საზოგადოებებში შესაძლოა ეს საკითხი მწვავე აზრთა სხვადასხვაობის საგანი გახდეს. კონკრეტული ჯგუფებისთვის ნების დართვა, თავი აარიდოს კანონს, რომელიც ზოგადი საკითხისთვის იქნა მიღებული, ზოგს უსამართლოდ მიაჩნია იმ პირების მიმართ, რომლებიც იძულებულნი არიან კანონის შესაბამისად იმოქმედონ, ამავე დროს მას თვლიან პოტენციური საფრთხის შემცველად საზოგადოებრივი ერთიანობისა და კეთილდღეობისათვის. სხვებისათვის კი იძულება, დაემორჩილონ მათ ღრმა რელიგიურ რწმენასთან წინააღმდეგობაში მყოფ კანონებს, წარმოადგენს რელიგიური ან სხვა რწმენის უსამართლო ხელყოფას.

სახელმწიფო უფლებამოსილია მიიღოს ზოგადი და ნეიტრალური კანონები ისე, რომ იგი გარკვეულწილად ზღუდავდეს რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას. ამის შედეგია, რომ ბევრ ქვეყანაში

დასვენების დღეები დაწესდა რელიგიური დღესასწაულების თარიღებთან თანხვედრით, რასაც ბევრ ქვეყანაში შედეგად მოჰყვა რელიგიისა და რწმენის მოთხოვნებსა და სახელმწიფო კანონებს შორის კონფლიქტების შემცირება. აქედან გამომდინარე, მინიმალურად შემზღუდველი მიდგომა და ზოგადი დანიშნულებისა და ნეიტრალური კანონებიდან გამონაკლისების დაშვება არ ქმნის ქაოსის ისეთ საფრთხეს, როგორც ამას ბევრი ამტკიცებს. ეს არ გულისხმობს, რომ კანონმა პატივი უნდა სცეს თითოეული ადამიანის უფლებას, თვითონ გადაწყვიტოს, დაემორჩილოს თუ არა კანონს, არამედ იგი მოითხოვს კანონმდებლისგან, გაითვალისწინოს თუ რა ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ამა თუ იმ კანონს რელიგიისა და რწმენის თავისუფლებაზე, ასევე წინასწარ მოითათბიროს რელიგიურ საზოგადოებებთან კანონების შემუშავების ისეთ გზებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებრივ კეთილდღეობას, რელიგიისა და რწმენის თავისუფლებაში გაუმართლებელი ჩარევის გარეშე.

სახელმწიფო პოლიტიკასა და სამართალს რელიგიასა და ეკლესიასთან მიმართების საკითხში რელიგიის თავისუფლების ადეკვატური დაცვისათვის შესაძლებელია დასჭირდეს კანონიდან გამონაკლისების დაშვება ან მინიმალურად შემზღუდველი წესით, შეიძლება საჭირო გახდეს კანონმდებლობის შემუშავება, უმცირესობათა რელიგიებისა და რწმენების მიმდევართა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. მაშინ, როცა კანონების შემუშავებისას ფაქტობრივად ყოველთვის მოხდება მსხვილი რელიგიური ჯგუფების ინტერესების მხედველობაში მიღება, შედარებით მცირე ჯგუფები შეიძლება თამაშგარე სიტუაციაში აღმოჩნდნენ, ხშირად იგნორირების შედეგად და არა იმის გამო, რომ ვინმეს მათი შევიწროვება განუზრახავს. ამის მაგალითებს წარმოადგენს ამკრძალავი კანონებიდან გამონაკლისის დაშვება. ასე მაგალითად, როცა საქმე ეხება რელიგიური რიტუალების ჩატარების დროს ამა თუ იმ

ხალხებისათვის, მათთვის მისაღები ამა თუ იმ საგნის თუ რაღაც შესაწირის გამოყენებას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რელიგიისა და რწმენის თავისუფლება ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა. იგი ინდივიდის ხელშეუხებლობისა და ავტონომიის ძირითადი ასპექტია. არსებობს რელიგიისა და რწმენის თავისუფლების უამრავი, ხშირად ერთმანეთთან კონფლიქტში მყოფი კონცეფციები. თუმცა, რელიგიისა და რწმენის თავისუფლება ყველა მათგანისთვის „უძვირფასეს საკუთრებად“ არის აღიარებული, მაგრამ მაინც განსხვავება რწმენასა და მოქმედებას შორის ყველა მათგანისთვის არ არის ისეთი ნათელი და მარტივი, როგორც გვთავაზობენ. მიუხედავად ამისა მაინც აუცილებელია იმ საზღვრის დადგენა, რომლის მიღმაც სახელმწიფო ქმედება ჩაითვლება ჩარევად რელიგიის თავისუფლების, როგორც შინაგან, ისე გარეგან სფეროში, სადაც სახელმწიფო ერთგვარ ტვირთს აკისრებს რწმენას. ურთიერთობა რწმენასა და ქმედებას შორის კომპლექსური ხასიათისაა, თუმცა პრეცედენტურ სამართალში ეს კომპლექსურობა არ არის ადეკვატურად ასახული.

რელიგიისა და რწმენის ფუნდამენტური მნიშვნელობა ინდივიდების უფლების თვალსაზრისით მოახდინონ თვითიდენტიფიკაცია და იცხოვრონ ავტონომიურად ხაზგასმულია ნაწილობრივ მისი როლის გამო ტოლერანტული და პლურალისტური საზოგადოების განვითარებაში. მომჩივნები, რომელთა კონცეფცია რელიგიისა და რწმენის მიმართ არ თავსდება სახელმწიფოს მიერ აღიარებული ძალზე შეზღუდული მოდელის ფარგლებში დაცვის მიღმა რჩებიან. ის რაც მნიშვნელოვანია ერთი რელიგიისათვის (მა. საჯარო ღვთისმსახურება ან დიეტური საკვების მიღება), შეიძლება სრულიად უმნიშვნელო იყოს მეორესთვის. არატრადიციული რელიგიებისა და რწმენების მიმართ „ნამდვილი“ გამოხატვის ძალზე ვიწრო

კონცეფციის გამოყენებით სასამართლომ და კომისიამ შეიძლება ვერ შეძლოს ამ მრავალფეროვანი მიმართულებებისადმი პატივისცემის დემონსტრირება, რომლებშიც ესა თუ ის რელიგია ან რწმენა იქნას გამოხატული. აქედან გამომდინარე, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების მნიშვნელობა ინდივიდებისა და მთლიანად საზოგადოებისთვის არ არის ადეკვატურად აღიარებული პრეცედენტული სამართლით.

სახელმწიფოებს ხშირად სერიოზული მიზეზები აქვთ იმისათვის, რომ დაინტერესებული იყვნენ რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შეზღუდვით. განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი ინტერესი, რომ ეფექტურად და დამაჯერებლად გაუმკლავდნენ სოციალურ პრობლემებს მორწმუნეთა მცირე, ზოგჯერ უგუნური ჯგუფების მხრიდან ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე. თუმცა არსებობს გაუმართლებელი მიზეზებიც, რის გამოც სახელმწიფოები მხარს უწერენ რელიგიისა და რწმენის შეზღუდულ კონცეფციას. ადამიანებს, რომლებიც ირჩევენ ისარგებლონ სრული ავტონომიით რელიგიის საკითხებში, შეუძლიათ გამოიყენონ ეს სოციალური კონტროლისადმი წინააღმდეგობის საფუძვლად. რელიგიები, შესაძლოა ასევე წარმოადგენდნენ არენას მთავრობაში არსებული კორუფციის ან დომინანტი პოლიტიკური მორალის კრიტიკისა. ეს კი გარკვეულ უხერხულობას უქმნის ხელისუფლებას, თუმცა სწორედ ერთერთი იმ მიზეზთაგანია, რის გამოც აუცილებელია რელიგიის თავისუფლების დაცვა. ბევრი სახელმწიფოსათვის რელიგია და რწმენა, ძირითადად ეკლესიით, სინაგოგით და მეჩეთით და მათთან მჭიდროდ დაკავშირებული საქმიანობით შემოიფარგლება, მაგრამ ეს არ ასახავს ბევრის რელიგიური გამოცდილების რეალობას. მიუხედავად ამისა, მოქმედი პრეცედენტული სამართალი არაადეკვატურ საზღვრებს ანიჭებს რელიგიის თავისუფლებას და სათანადო პატივისცემით არ ეპყრობა მომჩივანთა ყველაზე სიღრმისეულ რწმენებს.

რელიგიისა და რწმენის გამოხატვაზე ადამიანის უფლების მიმოხილვისას სახელმწიფო სამართალმა ზუსტად უნდა განსაზღვროს რელიგია და რწმენა. გარდა ამისა, აუცილებელია მომჩივნების ინტერესებზე ორიენტირებული მიდგომის შემუშავება იმის განსასაზღვრად, თუ რას გულისხმობს რელიგიისა და რწმენის გამოხატვა, მათი სუბიექტური შეხედულებებისა და რელიგიის გამოხატვაზე გაეროს სწავლებების გათვალისწინებით. მსგავსი მიდგომები უზრუნველყოფდა რელიგიებისა და რწმენების უფრო დიდ პატივისცემას და შესაბამისად სახელმწიფოს მხრიდან რელიგიისა და რწმენის მნიშვნელოვან ასპექტებში ჩარევის უფრო მეტ შემთხვევას გამოავლენდა, განსხვავებით მოქმედი პრეცედენტული სამართლისაგან.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ რელიგიისა და რწმენის თავისუფლება ყოველთვის იქნება სადავო უფლება, ნაწილობრივ იმიტომ, რომ მისი მნიშვნელობა მრავალი ადამიანისთვის ქმნის საზოგადოებრივი კონფლიქტის პოტენციურ საფრთხეს. რელიგიის თავისუფლების არცერთმა სამართლებრივმა მოდელმა არ უნდა მიაღწიოს აბსოლუტური უპირატესობა ადამიანის უფლებას რელიგიისა და რწმენის ქონასა და გამოხატვაზე. არსებობს სხვა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მიზნები, რომლებსაც ხელყოფდა მსგავსი მიდგომა და ავტონომიის სხვა მნიშვნელოვანი ასპექტები, რომლებიც შეიზღუდებოდა რელიგიის თავისუფლებას რომ ჰქონოდა უპირატესობა ყველა სხვა უფლებებთან შედარებით.

## რეზიუმე

წიგნში განხილულია სულიერი კულტურის განსაკუთრებული ფორმის, რელიგიის დამოკიდებულების საკითხი სულიერი კულტურის სხვა ფორმებთან, გაანალიზებულია მათი ურთიერთობის ძირითადი პრინციპები.

ნაჩვენებია, რომ რელიგია, როგორც სულიერი კულტურის განსაკუთრებული ფორმა გარკვეულ მიმართებაშია სულიერი კულტურის ისეთ ფორმებთან, როგორცაა მეცნიერება, ფილოსოფია, ზნეობა, ხელოვნება, კულტურა, პოლიტიკა და სამართალი, ახდენს ყველა მათგანზე დადებით გავლენას და აძლევს მისთვის მისაღებ შინაარსს, რითაც ხელს უწყობს როგორც მათ განვითარებას, ისე თვით რელიგიური რწმენის განმტკიცების საქმეს.

წინამდებარე წიგნით ავტორი ამკვიდრებს აზრს, რომ რელიგია აკეთილშობილებს ადამიანს და მთელ მის სულიერ კულტურას წარმართავს თვით ადამიანთა შორის კეთილი დამოკიდებულებისა და საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესების განმტკიცებისაკენ.

## Abstract

The book examines a particular form of spiritual culture, religion and spiritual culture of dependence on other forms, analyzed the basic principles of their relationship.

It is shown that religion, as a spiritual culture in the form of a reference to times of spiritual culture in such forms, such as science, philosophy, morals, art, culture, politics, and law, on all of them and have a positive impact and gives him acceptable content, thus contributing to their development, the strengthening of the religious faith.

This book by establishing the idea that religion kindness people and the culture of his spiritual guide even among people of good feeling and strengthen the overall national interests.

## გამოყენებული და სარეკომენდაციო ლიტერატურა

1. აბრამოვი ე. - ადამიანის გამოსახვა ხელოვნებაში, 1966 წ. (რუს);
2. ანდრიანოვი ნ.პ. - რელიგიური ცნობიერების ევოლუცია, 1977 წ.  
(რუს);
3. ანდრიაშვილი რ. - მეთოდური მითითებები სალექციო თემაზე:  
„ისლამი და მისი ძირითადი მიმართულებანი“,  
თბ. 1968 წ.
4. აღმაშენებელი დ. - გალობანი სინანულისანი, თბ. 1989 წ.
5. ბერდიაევი ნ. - თავისუფლების ფილოსოფია, 1911 წ. (რუს);
6. ბოგოლიუბოვი - რელიგიის ფილოსოფია, 1918 წ. (რუს);
7. ბუტკევიჩი ტ. - რელიგია, მისი არსება და წარმოშობა, 1902 წ.  
(რუს);
8. გაბიძაშვილი ო. - რელიგიათმცოდნეობა, თბ. 1999 წ.
9. გულბიანი ნ. - რელიგიის ისტორია, თბ. სტუ, 2005 წ.
10. კაკაბაძე ზ. - ადამიანი, როგორც ფილოსოფიური პრობლემა,  
თბ. 1987 წ.
11. ლორია ვ., ბენდელიანი გ., გელაშვილი ბ. - ადამიანის  
უფლებები და რელიგია, თბ. 2004 წ.
12. მამარდაშვილი მ. - საუბრები ფილოსოფიაზე, თბ. 1922 წ.
13. პაპუაშვილი ნ. - რელიგიის ისტორია, თბ. 1997 წ.
14. ფანჯიკიძე თ. - რელიგიური პრობლემები საქართველოში XX-  
XXI საუკუნეთა მიჯნაზე, თბ. „ლეგა“ – 2003 წ.

15. ფანჯიკიძე თ. - რელიგიის რწმენის კვალდაკვალ, თბ. „ნაკადული“ – 1986 წ.
16. ჯავახიშვილი ი. - ქართველი ერის ისტორია, ტ. I. თბ. 1982 წ.
17. ჯაფარიძე პ. - ქართული ეკლესიის ისტორია, თბ. 1988 წ.
18. ჯიბლაძე გ. - ხელოვნება და სინამდვილე, ტ. I. თბ. 1955 წ.
19. ყუბანეიშვილი ნ. - ძველი და ახალი აღთქმის მოკლე ისტორია, თბ. 1980 წ.
20. ჩართოლანი შ. - ძველი სვანეთი, შპს „კერა“ თბ. 1996 წ.
21. ძამაშვილი ა., გვასალია ლ., ჭიაურელი ვ. - კულტუროლოგია, თბ. 1999; 2004 წ.
22. კათალიკოს პატრიარქი ილია II - ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი. ტ. I-II. თბ. 1997 წ.
23. ბიბლია; საქართველოს საპატრიარქო გამოცემა, 1989 წ.
24. ჯვარი ვაზისა №1, საქართველოს საპატრიარქო, თბ. 1981 წ.
25. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 2002 წ.
26. ჟურნალი „რელიგია“ №8;10;11. – 1992-93 წწ.
27. სულხან-საბა ორბელიანი „ლექსიკონი ქართული“ ტ. 2 „მერანი“ თბ. 1992 წ.
28. ქართლის ცხოვრება ტ. IV „საბჭოთა საქართველო“ თბ. 1973 წ.

## შინაარსი

შესავალი ნაწილი - - - - -	3
1.რელიგია, მეცნიერება, ფილოსოფია- - - - -	5
2.რელიგიის მიმართება ზნეობასთან- - - - -	23
3.რელიგიისა და ხელოვნების ურთიერთობა- - - - -	42
4.რელიგია და კულტურა- - - - -	47
5.სახელმწიფო პოლიტიკა და სამართალი რელიგიისა და ეკლესიისადმი მიმართებაში - - - - -	56
რეზიუმე - - - - -	82
ლიტერატურა - - - - -	80
შინაარსი- - - - -	83

ნოდარ გულბიანი

რელიგია და სულიერი კულტურის  
სხვა ფორმები

თბილისი

2012

წიგნი დაიბეჭდა ი.მ. გოჩა დალაქიშვილი

ტირაჟი: 300 ეგზემპლარი